



საქართველოს
საზოგადოებრივი

საზოგადოებრივი



1913

დუინობისთვე, № 10. მოზრდილთათვის.

ნაკადული

საქმანვეთა
ქრისტიანული
კლდე

წელიწადი მეცხრე. ✂ ოქტომბერი, 1913 წ.




294


უმანკობა



ს ა რ ჩ ე კ ი

I — უმანკობა, — სურათი	1
II — წყაროს სიმღერა, — ი. სისხრულდისას	3
III — ორკლასიანი, — (დასასრულად) მოთხრობა გაოსა	5
IV — ობოლი ისო და პატარა ნუნუ, — ზოქმა (დასასრულად) ი. შქედლიშვილისას	22
V — რა ნახა პატარა ბიჭმა, როცა უძრავად იჯდა. მოთხრობა რამბერტისის (თარგმანი) შავიტასი	28
VI — უძველეს დროის ბავშვის თავდადასავალი, — მოთხრობა ე. ჯ'კრევილისა, (გაგრძელება) თარგ. მარამი ა. შვილისა	41
VII — კეთილი მამა, — ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილის 30 წლის იუბილეს გამო, — ან. წულაძისა	52
VIII — ტროადის ომი, — (გაგრძელება) ად. შაქაბერიძისა	60





წყაროს სიმღერა.



თისა შვილი—ცელქი წყარო მთის
თხემიდან ლაღად მოსჩქეტეს,
მოცქრიალებს, მოჩხრიალებს, ირგე-
ლივ აფრქვევს კამკამა შხეტეს;

მიძპრის, მიხტის... თანაც მდელოს, ვოღვით დამწვარს, მო-
ნაწყურებს,

თავს ევლება, ტუნს უგრძობებს. შვების ცრემლებს მკერდს
აპკურებს.

თან იმღერის: „მთის წიაღში დავიბადე; მოვჩქეფ ლაღად,
რომ მთა-ბარი გავადვიძო, ავაყვავო, შევქმნა ბაღად;
როს დილის ეამს დანამული მდელიო ცისკარს ღიმილს სტა-
ცებს,
და ყვავილებს მზის სხივებზე ნამთ ცქრიალი აწარმოცებს.“

როს ნიავე გაიღვიძებს, ფრთების რბევით ჩამიჭროლებს,
პირს დაიბანს, თან ანკარა ემბაზს ფრთებით ამიჭროლებს,
მეც ველგზნები, მიეჭრი ლაღად, არე-მარეს ვაფრქვევ წინწკლებს,
საღამს ვუძღენი მნათობთ შეფეს, ჩავექსოვი სხივით, ნაპერწკლებს.
და შევძახი: „მზევ ღიაღო! შევაერთოთ ორთავე ძალი,
მე ხნულ-ყანებს მკერდს მოურწყავ, შენ დაბუგე ნარ-ეკალი,
სულ მაშვრალთ რომ არ სტანჯაედეს, არ უხდენდეს ნათეს
ყანას;

ცელქი სიოც ჩვენ გვიშველის: ყანას ფრთებით ეტყვის ნანას.“
ამას მღერდა მთისა წყარო, თან ჩხრიალში სწნავდა რითმებს,
არე-მარე ყურს უგდებდა, მკერდს იკრავდა საამო ხმებს.

ი. სიხარულიძე.





მრკლასიანი.

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან).



ქეთიმესთან ეტლში ვანოს გარდა იჯდა ერთი უცნობი, რომელიც განუწყვეტლად ელაპარაკებოდა ვეფთხიძეს ვაჟს.

ვანიკო ჯერ ოზურგეთზე შორს არსად ყოფილა. ვხაზე, ყველაფერი ეუცხოებოდა, მაგრამ არ უნდოდა შეემჩნიათ და კობტად და რიხიანად ეჭირათაი. გურულად დახურული ყაბალაბი და მოხდენილად შეკერილი ხალათი ერთი-ორად ალამაზებდა ისედაც ეშხიან ვანიკოს.

ნატანებში დიდ ხანს არ მოუნდათ ცდა. აიღეს თუ არა ბილეთები, შატარებელიც მოვიდა. აიტანეს ბარგი და ადგილი დაიჭირეს. დაჭკრეს მესამე ზარი, გაისმა სტვენა, დასკუილა ლოკომოტივმა და შატარებელი დაიძრა.

სანახაობა იმდენად ახალი და მრავალფეროვანი იყო ვანიკოსათვის, რომ გაშტერებული იჯდა ვაგონში გამორკვევავერს კი მოასწრო, ისე ჩაეიღა ბათუმში.

ვანო ექვთიმეს ერთ კარგად შეძლებულ შეშით და ნახშირით შთავაძურე გურულთან უნდა დატყენებინა. საუბედუროდ, ეს კაცი დროებით ბათუმიდან წასულიყო, ამხანაგს კი აღარ დაეცა და სხვა ბიჭი დაეკირავებია. სხვა ნაცნობებსაც ჩამოუარა ექვთიმემ, მაგრამ ვერას გახდა: ყველა უარს ეუბნებოდა. ბოლოს სამიკიტნო „სმა-ჰამაში“ აღმოჩნდა ბიჭის ადგილი, სადაც წერა-კითხვის მტრდნე ვანიკო, რასაკვირველია, სიამოვნებით მიიღეს. ექვთიმეს ვერ იყო ამ ადგილით კმაყოფილი, მაგრამ რა ექნა? ახსოვდა ესიკას სიტყვები: „შენი ჭირიძე, სულ უსაქმოდ ნუ დამიტოვებ და უკანასკნელ ადგილზე დააყენო. თუ უსაქმობას შეეჩვიო, გაირყენება, და დავიღუპებიო.“

აი როგორ და რა გზით ამოჰყო თავი ვანომ სამიკიტნო „სმა-ჰამაში“, სადაც ჩვენ ვნახეთ იგი.

ძნელი და აუტანელი იყო ვინოსათვის სამიკიტნოში საშახური. ვის არ უნახავს ასეთ ალაგას მოსამსახურე ბიჭი? გატუქციანებულთ წინსაფარი, გაყვირლებული და მოთენთილი სახე, უძილობისგან ამღვრეული და გაფანტული თვალები — აი როგორნი არიან გარეგნობით ეს საბრალონი.

ამ დღეში იყო ჩვენი ვანიკოც. გარიტრაიდან დაწყებული ნაშუაღამევის ორ-სამ საათამდე ფეხზე დგომა, სამზარეულოდან სასადილოში, სასადილოდან ისევ სამზარეულოში ან დახლში მისვლა ნახარჯის ჩასაბარებლად — აი წრე, რომელშიაც ტრიალებდა ბავშვი მთელი დღე. ლანძღვა-გინება, ლოთობა, ნარდ-ბილიარდი, ცემა-ტყემა, აურ-ზაური, სიკრუე, ფლიღობა და გაუტანლობა — აი რის მოწამე იყო ვანო მუდამ დღე.



მოსამსახურენი მგლებივით უცქეროდნენ მას, არ სწონდათ ვანო, რადგანაც ყველაზე პატარა, მაგრამ ყველაზე მცოდნე და გონიერი იყო ბიჭებში. როცა ჩასაწერი ან ძნელი საინგარიშო იქნებოდა რამე, „ხაზეინი“ ყოველთვის მას მიმართავდა. უძილობამ და უაზრო-უზომო შრომამ გასტეხა ბავშვი, მაგრამ წაბლისერული ეშხი და ფერი მაინც ვერ წაუშალა.

დაცინვით ხომ სულ აიკლეს საბრალო ბავშვი. იცოდნენ, რომ ვანოს ორი კლასის მოწმობა ედვა სკივრში. მუშტრებშიც გამოერეოდა ისეთი, რომ დაინტერესდებოდა ვანოთი და ყველაფერს დაწერილებით გამოჰკითხავდა ხოლმე. როცა ნასწაულობის შესახებ ჰკითხავდნენ, ვანო მიუგებდა: ორი კლასი გავათავე, ბატონო, სოფელშიო. ერთს მოწმობაც კი აჩვენა ერთხელ. ამის შემდეგ ხომ მოსვენებას აღარ აძლევდნენ საბრალო ვანოს.

— აბა, ბიჭო, მუშტარი შემოვიდა; მოიტა, შენი ორკლასიანი მოწმობა აჩვენეო.— გასძახებდნენ ხშირად სამზარეულოში. ბოლოს და ბოლოს სახელის მაგიერად პირდაპირ „ორკლასიანს“ ეძახდნენ.

— აბა, ორკლასიანო, გამოდი ერთი ეს ქონიანი ქურქელი დარეცხეო,— დაცინვით გამოსძახებდა სამზარეულოდან ხან ერთი და ხან მეორე ბიჭი.

სამიკიტნოს მზარეული მოხუცი ლუკა შეუტევედა ბიჭებს და დარბაისლურად ეტყოდა:

— ნუ სკავთ ერთმანეთს! რა გაქვთ, თქვე საწყლებო, ვასაყოფიო?

ეს მოხუცი ერთადერთი კაცი იყო სამიკიტნოში, რომელიც ადამიანურად ეტყეოდა ვანოს. რომ ლუკა არ ყოფილიყო, ვანო შეიძლება კიდევაც ვაქვეულებიო სამიკიტნოდან.

ლუკა განთქმული იყო თავისი ზღაპრებით. მთელი დღე და ღამე რომ ეამბნა, არ გამოგლეოდა. უკვირდა განიკოს

ლოჯა და იმისი ზღაპრები. მოიკლიდა თუ არა მოზუცი, აბოლოებდა განუშორებელ მგობარს—გრძელ-ტარა და ღრმა ჩიბუხს და დაიწყებდა:

— იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი ქვეყანაზე რა იქნებოდა?..“

ზევრს აწვალებდნენ ვანოს. სანამ უძილობას შეეჩვეოდა. აბა რომელი ადამიანი გასძლებს გარიჟრაჟიდან ნაშუალამევის ორ-სამ საათამდე, ისე რომ არ ჩასთვლინოს? ძალიან ცდილობდა ვანიყო, რომ ძილი არ მორეოდა, მაგრამ ჩამოჯდებოდა თუ არა, მაშინვე ჩამოეძინებოდა.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა. სამიკიტნოში ხალხი მილეულიყო. აქა-იქ იჯდა რამდენიმე ღოთი და გრძნობადაკარგულნი გადასწოლოდნენ მაგიდებს, ჩაებლუქათ არაყი ცარიელი ბოთლები და სთელემდნენ. ბილიარდის განყოფილებიდან მოისმოდა ხის ბურთების ტაკა-ტუკი. „ხაზინი“ ჩვეულებრივად იდგა დახლში და დღის შემოსავალს ანგარიშობდა. ბიჭებიც ზოგი სამზარეულოში იყო, ზოგი სასადილოში იჯდა და ზოგიც ბილიარდზე მოთამაშეთ უგდებდა ყურს. ლოჯას ეძინა.

ვანო ჩამოჯდა მაგიდასთან და ჩამოეძინა. ერთმა მოსამხატურეთაგანმა ეს შენიშნა; სხვებსაც გადასცა. ორნი ფეხაკრეფით მივიდნენ მაგიდასთან და მოამზადეს წკიპურტი. მესამე დადგა შორი-ახლო და უსარდალა:

— ეცი!

ვანოს ცხვირს ორივე მხრით ისეთი წკიპურტი მოხვდა, რომ ზავეში ცალკე სიმწრისგან და ცალკე სიბრაზით კანკაღმა აიტანა.

— სიფონი აამოს ორკლასიანს, სიფონი!—მიამბეს ვანოს აქეთ-იქიდან და ვადიხარხარეს. „ხაზინმაც“ შემოიხვდა და მგტი კმაყოფილებისაგან გაიღიმა.

ვანოს კრემლები მოეჭრია, მაგრამ იცოდა, რომ ატრიე-

ბულიყო, უფრო აიკლებდნენ დაცინვით და ამიტომ თავი შეიკავა, ბოლშე გულში ჩაიკლა.

ერთ რამეს ვერ შეეჩვია კიდევ ვანო.

სამიკიტნოში ჩვეულება აქვთ: როცა მუშტარი დაითრობა, მაგრამ ღვინოს ან არაყს ისევ თხოულობს; გამოცდილი მოსამსახურე ღვინიან ბოთლებთან ერთად ცარიელსაც ულაგებს მაგიდაზე, ან არაყსა და ღვინოში წყალს ურევს და ისე აწვდის მუშტარს.

ვანოც დაარიგეს რამდენიმეჯერ, რომ ასე მოქცეულიყო.

— სირცხვილია, ბატონო!— გაუბედა ვანომ „ხაზინს“, მაგრამ როცა ერასტიმ ფეხი დაუბაკუნა, შეშინდა და დაემორჩილა: სხვა რა გზა ჰქონდა? ვინ ჰყავდა პატრონი? ვისთვის რა შეეჩივლა? ექვთიმე ბათუმში აღარ იყო. კარგი საქმე გამოჩნდა და სხვა ქალაქში გადასახლდა. წასვლისას ნახა ვანო, გამოემშვიდობა და უთხრა: ყოჩაღად იყავი, ნუ გეშინია, ბოლოს კარგად იქნება შენი საქმეო. მაგრამ ცარიელი სიტყვებით განა გაკეთებულა როდისმე რამე?

ერთ დღეს მთვრალეებმა, რომლებსაც ვანო ემსახურებოდა, შენიშნეს ცარიელი ბოთლები. სტაცეს ზელი მეტ ბოთლებს და იქვე ასფალტის იატაკზე დაანარცხეს. ატყდა აურზაური. მოვიდა „ხაზინი“. იქვე იღგა ვანოც.

— რა ამბავია?— იკითხა ერასტიმ.

— რაღა რა ამბავია! ცარიელ ბოთლებში სავსეს ფასს გვახდევინებთ. ეხლავე პოლიციელს დაუძახებთ. მთვრალეები რომ ვართ, განა ბრძევებიცა ვართ? კარგად გვახსოვს, რაც მოვითხოვეთ და რაც არა!— მიმართა ერასტის ერთმა მთვრალეთაგანმა.

სამიკიტნო რომ ხალხით არ ყოფილიყო სავსე, ერასტიმ იცოდა, როგორც მოექცევოდა ალიაქოთის ამტებთ. ბევრი ასეთი გამოუგდია სამიკიტნოდან წიხლის კვრით. პოლიციელი მიხვიც მის მხარეზე იყო ყოველთვის. დიდი-დიდი ერთი

ქიქა ქაქის არაყი დახარჯოდა და სამართალიც ხელად ჭმბორში მიუტრიალა. იკრებოდა. მიზეზი კარგებსაც მიაყოლებდა „დაუდგრომელ“ მუშტრებს და ვაისტუმრებდა.

მაგრამ დღეს სულ სხვა იყო, სამიკიტნო გაცედილი იყო ხალხით. ჩხუბის მიზეზი არ იყო სასიამოვნო ერასტისათვის. იცოდა, რომ ყველაფრის გამოაშკარაებდა ცუდად იმოქმედებდა მუშტრებზე. ამიტომ სხვა გზით შეეცადა გაქირვებისაგან თავი დაეღწია.

— ეს რა გიქნია, „ბიქო?“ — მიუბრუნდა ის ვანიკოს. — სულ ამ ლაწირაკის ბრალია, აი!

— ჩემი-კი არა, თქვენი ბრალია, ბატონო! თქვენ რომ თვალი მიქენით, მაშინ მოვიტანე ცარიელი ბოთლები.

ერასტი ვაშრა. ფერმა აუარ-დაუარა. მიიწია ბიქისკენ. სწვდა ყურში და კუთხისკენ მიაგლო.

— აღარ უნდა ამ ოჯახ-დაქცეულს დგომა და ხან რას მოიგონებს, და ხან რას, — შესჩივლა ერასტიმ მოჩხუბარ მუშტრებს.

იმათაც შეატყვეს ერასტის „უხერხული“ მდგომარეობა და თვითონვე გამოიყვანეს განსაცდელიდან.

— არა უშავს-რა, ერასტი: ლაწირაკის ბრალი ყოფილა და თქვენ რაღად იწუხებთ თავსო, — გესლიანად შენიშნეს მათ, გადაუგდეს ხუთ მანეთიანი და ხურდა გამოგზავნეო, — უთხრეს.

ამ შემთხვევის შემდეგ გაორკველ ვანიკოს გაქირვება, ერასტი მუცლაძე არც ისე პატარა კაცი იყო ბათუმში, რომ ვილაც ~~სწავლი~~ ბიქისათვის ისეთი მძიმე შეურაცხყოფა ეპატიებინა. მაგრამ დათხოვნაც არ უნდოდა, რადგანაც ვანო ყველა ბიქებში ირჩეოდა, როგორც ყოჩაღი, მოხერხებული, მკოდნე და პატროსანი. ამიტომ გადასწყვიტა არ დაეთხოვნა, მაგრამ: როცა საშვალეობა და შემთხვევა ექნებოდა, უსაზღვროდ შევიწროებინა.

ამნიარად მიმდინარეობდა ვანოს შიშვე, დამამცირებელი და უხალისო ცხოვრება: ბნელში მოიცვა ბავშვის სიკაცხლით, სავსე და ცქრილა არსება. სინათლეს ისე ვადაეჭვია, რომ, როცა რამეზე გაგზავნიდნენ ბაზარში, ქუჩაში რეტრიანდვით დადიოდა, სინათლისათვის თვალები ვერ გაესწორებინა. აგონდებოდა სახლ-კარი, მინდორ-ველი, ტოლ-ამხანაგები, სკოლა, მასწავლებელი ნესტორი, ზაფხულობით ხალისაში ბანაობა, თევზაობა, ბურთის თამაში, დედ-მამა, და-ძმები, ნათესავები და „ვაი ნენაო,“ მწარედ ამოიოხრებდა.

ძილშიაც ხშირად აბოდებდა ვანოს. ხან „ვაი ნენას“ დაიძახებდა, ხან „გამიშვიტო“ დაიყვირებდა და ხან რას.

— ორკლასიანი წუხელ „ნენას“ ეძახდა ძილში, ალბად ძუძუ მოუნდა საწყალს, — გააგონებდნენ დილაზე ბიჭები ვანოს.

— ეჰჰ, თქვე უგუნებო! — საყვედურის კილოთი ეტყოდა ლუკა ბიჭებს.

მაგრამ დაუსრულებელი რაა ქვეყანაზე, რომ ვანოს ტანჯვა უოფილიყო?

დაჰკრა ცხოვრების ტალღამ და წაღმა შეატრიალა ვანიკოს ბედის ჩარბი.

III

კვირა დღე იყო. სამიკიტნო „სმა-ჰამა“ ჩვეულებრივად იყო ხალხით სავსე. მაგიდებთან ადგილი აღარ იყო. მოსამსახურე ბიჭები ისე დასრიალებდნენ ასფალტის იატაკზე, თითქო ყინულზე ცურაობნო. ციბრუტივით ტრიალებდა ვანიკოს, ნაღვლიანი აღარ იყო დღეს იმისი სახე. იმედინად ცქრილებდნენ იმისი ლამაზი, შავი თვალები.

რა იყო მიზეზი ასეთი ცვლილებისა? ვინ გამოგზავნა ის სხივი სიხარულისა, რომელიც ისე დასთამაშებდა ვანიკოს სახეს?

მიზეზი ის გახლდათ, რომ ორ დღეში ვანო სამიკიტნოს თავს დააღწევდა და სხვა ადგილზე გადავიდოდა.

როგორც უკვე ნათქვამი გქონდა, სამიკიტნო „სმა-კა-მაში“ ბევრნაირი ხალხი დადიოდა, დადიოდნენ აგრეთვე ქარხნის მუშებიც. ერთ დღეს ვანომ იცნო ერთი მუშა, რომელიც ოთხი-ხუთი წლის წინად წამოსულიყო სოფლიდან. ვანოს ძალიან უნდოდა ვინმე ნაცნობი ჰყოლოდა ქალაქში. რაც ექვთიმე წავიდა, აღარ იცოდა. ვისთვის უნდა მიემართნა ვაჭირვების დროს.

იმ წაბლისერელ მუშას ყოველთვის ზრდილობიანი ხალხი ახლდა თან. მათ შორის არ ჰქონდა ადგილი არც ჩხუბს; არც აყალ-მაყალს. ლაპარაკობდნენ ყოველთვის ძმურად, დალაგებით.

ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ვანიკომ გადასწყვიტა გასცნობოდა მეზობელს და გაეზიარებინა მისთვის თავისი გულის დარდები.

— თქვენ წაბლისერიდან ბძანდებით? — ჰკითხა ერთ დღეს, როცა მუშამ ისაძილა და ის იყო უნდა წასულიყო.

ილიკო (ასე ერქვა მუშას) გაკვირვებით ჩააცქერდა ვანოს, მაგრამ ვერ იცნო.

— თქვენ ვერ მიცნობთ, აღარ გეხსოვებით. მე ესიკა სირაძის შვილი ვარ, წაბლისერელი. ნახევარი წელიწადი სრულდება, რაც სოფლიდან ჩამოვედი და ამ სამიკიტნოში ვმსახურობ.

აქ ვანომ მოკლედ უამბო ილიკოს ყველაფერი, რაც გადახდა და დაუმატა, რომ გადაწყვეტილი აქვს აქედან თავის დახწევა და რაიმე სხვა ადგილზე დადგომა.

— წერა-კითხვა კარგად იცი?

— ვიცი: სოფლის ორი კლასი მაქვს გათავებული.

ილიკომ იცოდა, რომ სამიკიტნოში ამ ბავშვს „ორკლასიანს“ ეძახიან, მაგრამ საიდან წარმოდგა ეს უცნაური სახელი, ვერ გავგო.



— რა აღვიღოზე უნდა დადგე? ხელობა მაინც მსწავლეთ რამე.

— ხელობას ისევ სწავლა მირჩევენია.

— რა უყვით, რომ ვირჩევენია? ფული არ უნდა? მაინც გავიგებ ნაცნობებში და ამ ორ-სამ დღეში პასუხს გაგაგებინებ.

აი, დღეს უთხრა პასუხი ილიკომ და იმიტომ იყო ვანო გახარებული. ხვალ, ორშაბათს, საღამოს ექვს საათზე მოვა ილიკო და წაიყვანს. სად და რა საქმეზე—ჯერ არ იცის, მაგრამ ისე მიენდო ილიკოს, სადაც უნდა წაიყვანოს—წაჰყვება. ამაზე უარეს დღეში მაინც არ ჩავევარდებიო,—ფიქრობს ვანო.

ვინ არ იცნობდა ბათუმში ექიმ გულიაშვილს? ათი წელიწადი გასულიყო, რაც კურსი დაემთავრებინა და მას შემდეგ აღარ მოშორებოდა ბათუმს. თავისი საქმის საუკეთესოდ მცოდნე, პატიოსანი, ხელ-მოკლეთადმი გულ-შემმატკივარი ექიმი ჩქარა შეუყვარდა ხალხს. საიდან არ მოჰყავდათ მასთან ავადმყოფი? დარწმუნებულნი იყვნენ, ოღონდ-კი ეჩვენებინათ მისთვის ავადმყოფი, და რაც უნდა მიემედ ყოფილიყო ავად, გამობრუნდებოდა, სიკვდილს ვადარჩებოდა.

ბათუმის დიდ-ძალ მუშათა შორის ღრმა სიყვარული დასთესა ექიმმა. ყოველ-გვაში რჩევა-დარიგებისათვის ღია იყო იმისი კარები. განა მართო ავადმყოფები დადიოდნენ მასთან?

მუშა ილიკომაც მას მიმართა. დაწერილებით უამბო ვანოს შესახებ სუყველაფერი და ბოლოს დაუმატა:

— რომ იცოდეთ, ექიმო, როგორ სწყურია სწავლა, როგორ? უკულმართ ბედის წერას-კი გამოუმწყვედევია სამი-კიტნოში და უნდა ჩაუკლას ეს კურთხეული მისწრაფება. ჯერ სულ ბავშვია, ყველაფერს მოესწრობა!

— კი მოესწრობა, მაგრამ სანამ სამაგიერო გზა გამო-



ჩნდებოდეს, მანამ უნდა მოვაშოროთ იმ გამკაცრებულ სფეროს, ჯერ-ჯერობით უთხარი, რომ ჩემთან იქნება მოსამსახურედ. იმისი საქმე მართო ოთახების დალაგება-დასუფთავება იქნება; მეტი არაფერი. ჯამაგირი ხუთი მანეთი ექნება თვეში. როცა აქ იქნება, უფრო კარგად გაეცნობ და შესაფერ გზასაც გამოუჩნახავ. ჯერ-ჯი ნურაფერს ეტყვი.

აი ეს ადგილი გამოუჩნახა ილიკომ ვანოს. გათენდა ნაწილი ორშაბათიც. მოუთმენლად მოელოდა ვანიკო საღამოს ექვს საათს. ვანგებ არ ეუბნებოდა არავის. წასვლის შესახებ. უნდოდა უცბად. გასცლოდა აქაურობის, საცა დაცინვა-დამკირების მეტი არაფრის ღირსი გახადეს. ლოგინი დილითვე შეკრა შეუმჩნეველად და კუთხეში მისდო.

მოვიდა ილიკო. ვანო შევიდა სამზარეულოში, დაიხურა ყაბალახი, აიღო თავისი ბარგი და მივიდა დახლში ერასტისთან. დასდო ძირს ბარგი, მოახსნა წინსაფარი, მიაწოდა „ხაზინს“ და თამამად უთხრა:

— მე თავს ვანებებ თქვენთან სამსახურს; ჩაიბარეთ თქვენი წინსაფარი.

ერასტი სახტად დარჩა; მაგრამ ნათქვამი ისე მოულოდნელი და თან რიხიანი იყო, რომ საწინააღმდეგო აღარა ეთქმოდა-რა.

— სად მიდიხარ, ბიჭო?

— შე მიმყავს, ნათესავია ჩემი და სხვა ადგილზე უნდა დავაყენო,— ჩაერია ილიკო.

— ფული არაფერი გერგება, ბიჭო, ხომ იცი? ექვსი თვე უჯამაგიროდ უნდა ყოფილიყავი, ჩვიდმეტი დღე კიდევ გიკლია ვადას.

— ვიცი,— მიუგო ვანომ.

— ხეირი ნახე; საითაც გინდოდეს—იქით წადი.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!—გამოეთხოვნენ წამსვლელნი ერასტის.

ვანო მიბრუნდა და გამოეთხოვა მოსასახურებს; შიშის
 ტი ლუკა გადაჰკოცნა.

მიბრუნდა ისევ დახლოთან, აიკიდა: ბარგი და გაჰყვა
 ილიკოს.

ბიჭები მოადგნენ კარებს და პირდაღებული გაჰყურებ-
 დნენ მიმავალ ვანიკოს.

— გაგიფრინდათ და ტყვევებული ჩიტი, — მიუბრუნდა მათ
 ლუკა: აღარ გეყოლებათ არც „ორკლასიანი“ და აღარც სა-
 მიანი; შეგარცხვინათ ღმერთმა, თქვე გაუტანლებო!

ექიმი შინ არ დაუხედათ, მაგრამ დაებარებინა, ყმაწვილს
 მოიყვანენ და მიიღეთო. ვანო შეიყვანეს სუფთად და კოხ-
 ტად დალაგებულ პატარა ოთახში, რომელიც სამხარეულოს
 გვერდით იყო. საუცხოო გადასახედი იყო ამ ოთახის ფანჯა-
 რიდან. ქალაქის ბალი და ზღვა ხელის გულოვით მოსჩანდა.

ილიკო გამოემშვიდობა ვანოს და წავიდა.

— არ იღარდო: აქ კარგად წავა შენი საქმე; მეც ხში-
 რად ვნახავ, — უთხრა წასვლისას.

ვანოსთან ოთახში შევიდა ექიმის მოსამსახურე იმერელი
 დომენტი; ჩაიყვანა ძირს, ეზოში და სარდაფიდან ამოატანი-
 ნა პატარა ტახტი.

— აი, ბიძია: ეს ტახტი დადგი ფინჯარასთან და გაშა-
 ლე ზედ შენი ლოგინი. ეს მეორე ტახტი ჩემია, ეს ოთახი
 ჩვენი იქნება.

დომენტი წავიდა. ვანომ გაშალა თავისი ლოგინი, რო-
 მელიც ისე გაქუქყიანებულიყო სამიკიტნოში გდებით, რომ
 კიდევ შერცხვა ამ სუფთა ოთახში მისი გაშლა. მაგრამ რა
 ექნა? რაში დაეძინა.

დალაშდა. ვანოს დაუძახეს. დომენტომ გაუღო თათხის კა-
 რი და — ექიმი გეძახისო, — უთხრა. მაგიდასთან იჯდა ისე შუა-
 ხნის შავ-წვერ-ულვაშა ღამაზი სახის კაცი.

— გამარჯობა, დელიყანდო! — უთხრა მან ვანოს.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ბატონო!— იყო პასუხი.

ექიმი დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი ვანოს და ბოლოს უთხრა:

— ახლა წადი. დღეიდან ჩემთან იქნები. შენი საქმე ოთახების დაწმენდა-დალაგება იქნება. შენ ჯამაგირს ხეალ მიიღებ. დომენტი წამოგყვება ბაზარში და, რაც გინდოდეს— იყიდე. ტყუილ-უბრალოდ-კი არაფერში დახარჯო ფული; გახსოვდეს რომ მაგ ხუთ მანეთში მთელი თვე უნდა იმუშაო. წიგნების კითხვა გიყვარს?

— მიყვარს.

— ნინო შეილი გაგიგონია?

— არა.

— მაშ ეს წიგნი წაიღე და თავისუფალ დროს იკითხე.

ივანეშემს. მთელი ოჯახობა მოსვენებას მიეცა. დრო-გამოშვებით ექიმის კაბინეტიდან დახვედრება მოისმოდა: ეტყობოდა— ექიმი ისევ იჯდა და მეცადინეობდა. ვანოც ჩაწვა, მაგრამ-კი ვერ დაიძინა. ფიქრებმა გაიტაცეს. დომენტი შინ არ იყო. ვანომ გამოალო ფანჯარა და დაუწყო ცქერა აღელვებულ ზღვას. თუმცა შემოდგომა იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ ციოდა. მთვარიანი ღამე იყო და ნათლად სჩანდა და ისმოდა ფაფარ-აყრილ ტალღათა გორვა, და ღრიალი. ზღვა ძალიან შეუყვარდა ვანოს. სამიკიტნო „სმა-ქამაც“ ხომ ზღვის პირად იყო და დარდიან გულს ყოველთვის ზღვის ტალღებზე ართობდა ხოლმე.

ჯერ კიდევ ვერ იყო ვანო გამორკვეული. არ იცოდა, რას უქაღდა მომავალი. ექიმი და იმისი ლაპარაკი ძალიან მოეწონა, მაგრამ რა ბოლო ექნებოდა ყველა ამას— ვერ წარმოედგინა.

ჩქარა შეეჩვია ვანიკო ექიმს და მის ოჯახს. თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა. კარგად გაეცნო ბათუმს, რადგანაც ექიმი ხშირად გზავნიდა მას სხვა-და-სხვა საქმეზე. ყვე-

ლა პატივისა სკემდა როგორც ფხიზელო, პატიოსან და ნიჭიერ ბავშვს. თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა. თითქმის სულ გადაიკითხა ის წიგნი, რომელიც ექიმმა მისცა პირველ დღეს. თავაუღლებლად კითხულობდა ვანიკო ამ წიგნს. რომ დაიწყებდა რომელიმე მოთხრობას, სანამ არ გაათავებდა, აღარ მოეშვებოდა. ზოგი მოთხრობა ისე ძალიან მოეწონა, რომ რამდენიმეჯერ გადაიკითხა.

ერთ საღამოს ვანომ შეუტანა წაკითხული წიგნი ექიმს და სხვა მომეცითო,—უთხრა. ექიმმა დაუწყაო ლაპარაკი წაკითხულის შესახებ და განცვიფრებული დარჩა ბავშვის სხარტული, აზრიანი და მახილი პასუხით. ვანოს ისე შთაბეჭდოდა წაკითხული მებსიერებაში, რომ სრულად ახსოვდა ზოგი მოთხრობის შინაარსი.

— ჩვენში ყოფილა წინად ფირალი სისონა დარჩია, და სიმონაც სულ იმას ჰგავსო,—უთხრა ექიმს:—ამ სისონაზე ლექსიც-კია ჩვენში გამოთქმული.

— ხომ არ გახსოვს, ვანო, ლექსი?—ჰკითხა ექიმმა.

— დასაწყისი-კი მახსოვს და სულ არ ვიცი.

— როგორ იწყება?

„სისონაი დარჩია
 ნაქებია ბიკობაში;
 მივიდა და ძმა ტირია,
 არ შეშინდა იმდენ ჯარში“..

დიღხანს ელაპარაკებოდა ექიმი ვანიკოს და ბოლოს ერთი პატარა წიგნი მისცა, რომელიც ასე იწყებოდა:

— „მე სწორედ, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ“...

ბევრი ნაცნობი ჰყავდა ექიმ გულიაშვილს. ყველამ გაიცნო ვანო და ყურადღებით ექცეოდა. ჩვენი ვანიკოც სულ გამოიცვალა. მოიკეთა, ფერი მიეცა, გაიზარდა, სითამამე

მოემატა. სუფთად და კობტად ჩაცმული დადიოდა კითხვა მოთხოვნილებად გადაექცა.

ექიმმა ცალკე თარო მიუჩინა თავის საწიგნეზე, სადაც ცალკე ეწყო ვანოსთვის გადარჩეული წიგნები. სახელმძღვანელო წიგნებიც მოუგროვებს ვანოს და უთხრეს, რომ გაემგორებინა ყველაფერი, რაც ნასწავლი ჰქონდა.

— ნეტავი რისთვის? — დაეკითხა თავის თავს ვანიკო და გულმოდგინედ შეუდგა სწავლას.

IV

სამი თვეა, რაც ვანო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სწავლობს. ადვილად მიხვდებით, რა აღტაცებული იყო. როგორც კარგი მოწაფე, პანსიონში მიიღეს. ძალიან უყვართ ამხანაგებსაც და მასწავლებლებსაც. ვასოც, რომელსაც ოზურგეთში შეხვდა, სოფლიდან რომ მოდიოდა, აქ დაუხვდა. იგიც სწავლობს, მხოლოდ ერთი კლასით ვანოზე წინ არის.

აი, როგორ მიიღეს ვანო ზემოაღნიშნულ სკოლაში. ექიმი გულიაშვილი ბევრს ფიქრობდა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოჰქცეოდა ვანოს. ბოლოს ამხანაგებთან ერთად გადასწყვიტა მოემზადებინა ბავშვი ქუთაისის სამეურნეო სკოლისათვის. „სჯობია ისეთი ცოდნა შეიძინოს, რომ ცხოვრებაში გამოადგესო,“ სთქვეს იმათ. თუ გაუღიმებს ბედი და უმაღლეს სასწავლებელშიაც წავა, ხომ კარგი, თუ არა და ლუკმა პურს მაინც იშოვის თავისი შრომით, სხვისი ბარგი არ გახდებოა. რამდენია დღეს ჩვენში ისეთი „ნასწავლი“ ახალგაზრდა, რომლებიც დილიდან საღამომდისინ სტუკეპნიან ქალაქის ქვაფენილებს, უდედო წიწილებივით დაეხეტებიან და ვერ გაუგიათ, თუ რის მაქნისნი არიან ამ ქვეყნად. ცარიელ-ტარიელ რცხვენიით სოფელში დაბრუნება, ქალაქსაც არ უყვარს x

მაც დიდი სიხარული გამოიწვია მთელ ოჯახში. აქამდე ვერ
 ჯხორცმეტი და ასე ცასაც და დედამიწასაც მოწყვეტილნი და-
 ძვრებიან, სანამ არ წააწყდებიან ქურდბაცაცათა ბრბოს და
 დაიღუბებიან.

ექიმმა მისწერა წერილი ერთ ქუთაისელ მასწავლებელს,
 რომელსაც კარგად იცნობდა და სთხოვა ყველაფერი გაეგო
 და წერილითვე შეეტყობინებინა.

„გამოგზავნე, თუ ბიჭი ყოჩალი გამოდგა, გაეჩარხავთ
 საქმესო,“—სწერდა ნაცნობი ექიმს.

რადგან დრო ცოტა იყო დარჩენილი, ვანიკო ყველა
 საქმეებისაგან გაანთავისუფლეს. ექიმმა მოიხმო ის, გამოუცხა-
 და ყველაფერი და უთხრა:

— აბა შენ იცი, ვანო! კარგად იმეცადინე, არც შენი
 საქმე შეაფერხო და ნურც მე დამიკარგავ ნდობას.

არ ისვენებდა დღე-ღამე ვანო. დადიოდა ოთახიდან
 ოთახში და სწავლობდა. ორ დღეში ერთხელ მოდიოდა ახალ-
 გაზდა მასწავლებელი და უსმენდა გაკვეთილებს.

— ნეტავი შენ ხელობას მეც შემხვედროდა ისეთი
 ღვთისნიერი ადამიანი, როგორიც ჩვენი ექიმი?—შესჩივლა
 ერთ საღამოს დომენტიმ ვანოს:—დღეს კაცი ვიქნებოდი ქვე-
 ყანაზე.—განა შენ ხარ პირველი და უკანასკნელი, ბიჭო!—
 ვინ იცის, რამდენი დაუყენებია კეთილ გზაზე მაგ მამაცხონე-
 ბულს. ეცადე, ბიძია, ეცადე. ვინ იცის, რა დაგაწერა შუბლ-
 ზე ბედის მწერელმა?

მოახლოვდა ქუთაისში გამოსაცდელად წასვლის დრო.
 ვანოს შეუკერეს ახალი ხალათი, შარვალი და ორი ხელი
 საცვალი. საბან-ბალიშსაც ახალი პირი გადაუკრეს. ფულიც
 მისცა ვანოს ექიმმა—ზოგი ჯამაგირი და ზოგიც ილიკოს
 მოეგროვებინა მისთვის ამხანაგებში. ორი წერილი დაუწე-
 რა:—ერთი ნაცნობ მასწავლებელთან და მეორე თვით სკო-
 ლის გამგესთან. აუბსნა, როგორ უნდა ემგზავრა, როგორ

უნდა სჭეროდა თავი გამოცდის დროს, თუ სხვაგან, და წიყვანა სადგურზე. სანამ მატარებელი არ დაიძრა, არ მოშორებია: იღვა თანჯარასთან და ელაპარაკებოდა.

ლამე ვანომ ექიმის ნაცნობ მასწავლებელთან გაათია. მეორე დღისთვის დანიშნული იყო გამოცდა. დილის ცხრა საათი იქნებოდა, სკოლაში რომ მივიდნენ.

— სირაძე! — გამოუძახეს დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ვანოს. ყველა მასწავლებელმა იცოდა ვანოს აწმყო და წარსული ექიმ გულიაშვილის წერილიდან და ძალიან ეინტერესებოდათ ბავშვის ნახვაც და ცოდნაც. ვანო ისე თამამად ლაპარაკობდა გამოცდის დროს, გვეგონებოდათ თავის სახლში ზის და დედ-მამას ელაპარაკებაო.

გამოცდები გათავდა. ბევრი განებვიწროებული შვილი დაბრუნდა მშობლებთან თვალ-ცრემლიანი და გულ-დამწვარი — ჩასქრეს. „სხვისა ამარა გდებულმა“ ვანიკო სირაძემ-კი საუკეთესოდ ჩააბარა ყველა გამოცდა და სკოლაშიაც მიიღეს.

ასე აუსრულდა ნატვრა ჩვენს ვანოკოს. დაახწია თავი უღმობელ ცხოვრების კლანჭებს და საშვალება მიეცა გაწყვეტილი სწავლა ისევ განაგრძოს. იგონებს ახლო წარსულს და ვერ დაუჯერებია: რაც მოხდა, სიზმარი ჰგონია. რას იფიქრებდა, თუ ასე წავიდოდა მისი საქმე? ახლა კარგად ესმის მამის სიტყვები: უსწავლელი კაცი და უღლის ხარი ერთიანო. თავის თავზე გამოსცადა, თუ რა ტანჯვას და დამცირებას განიცდის სიბნელეში მყოფი, გაუნათლებელი ხალხი. ერთი წამითაც არ ავიწყდება ექიმის გულიაშვილი და იმისი კაცთ-მოყვარული მოღვაწეობა. „რომ ჯერ ილიკოს და მერე მას არ შევხედროდი, რა მეშველებოდაო,“ ხშირად გაიფიქრებს ხოლმე. ბევრს კითხულობს და აშანაგებსაც ურჩევს წასაკითხავ ნივთებს.

ჩქარა ვანომ მშობლებსაც გააგებინა თავისი ამბავი, რა-

ვატეხილნი ესიკა და მარიაში ახლა იმედიანად გამოიჭყუ-
ბიან. „ი, ლმერთო, თუ ჩვენსკენაც გადმოიხედო მოწყალე
თვალთო.“ — ხშირად იტყვის ცოლ-ქმარი. მოუთმენლად მო-
ელიან ზაფხულს, როცა არდადეგებზე დათხოვნილი ვანო
ესტუმრებათ.

ჩვენც რაღა დავგრჩენია იმის მეტი, რომ გამარჯვება
ვუსურვოთ ვანოს? ვუსურვოთ თავის სწავლით სხვასაც გა-
შოსდგომოდეს, არ დაავიწყოს, რომ იმ წუმბეში, რომლიდა-
ნაც თვითონ დააღწია თავი, კიდევ ბევრია ჩაფლული და შეე-
ლას ითხოვს.

გიო.





ობოლი ისო და პატარა ნუნუ.

(დასასრული).



უღამის ტკბილი ძილით
სძინავს მყუდროდ არე-მარეს,
მხოლოდ ძალღი უპატრონო
შეჭლმუის და შეჰყეფს მთვარეს;
შორს მიტაცებს კაეშანი,
ჩემში ჰბადებს სევდას მწარეს;
ჩემი ყოფნაც იმ ძაღლსა ჰგავს,
ობოლსა და მგლოვიარეს.
მე არ მძინავს, თორემ სხვებსა
უღარდელი ძილი ჰბურავთ,
სიზმარსაც-კი ტკბილს ჰხედავენ,
მძინარეთაც ღიმი ჰბურავთ.
ნუნუ? ნეტა მისაც სძინავს?
ისიც არის უღარდელი?
ჰო, ნუნუსაც სძინავს, მაგრამ
სიზმარი აქვს საშინელი.
ეჩვენება ნუნუს ისო

ავადმყოფი და შკენესაი,
 მარტო არის, უპატრონოდ,
 უძლური და სულთ-მობრძაი.
 აი, ხელი გაიწოდა
 და მოითხოვს ნუგეშს, შეელას,
 მაგრამ გაუქვავებია
 ისოსადმი გული ყველას.
 მთლად დაჰკარგა იმედი მან
 დახმარების, სხვისგან შევლის,
 სიკვდილს მარტო შეებრძოლა,
 მაგრამ თავი ვერას ჰშველის.
 ერთი კიდევ გაიბრძოლა
 და აღმოჰხდა ოხვრით წყევა,
 და ობოლმა ისომ სული
 საუკუნოდ განუტევა...
 წამოვარდა ნუნუ სწრაფად,
 ეკენესდა და აქვითინდა,
 მაგრამ მალე გამოფთიზლდა
 და თვალები მოიწმინდა...
 სიზმარია... სთქვა ჩურჩულით
 ქანკ-მიხდილის, წყნარის ხმითა:
 მაგრამ წავალ და თვით ენაბე
 ცხადლივ ჩემის თვალებითა—
 და წამოდგა სიფრთხილითა,
 სიფრთხილითვე გახსნა კარი:
 სამხრეთისკენ გადაბრილი
 მთვარე შუქს ჰფენს სევდით წყნარი,
 ძირს-კი ღამის ტკბილი ძილით



მყუდროდ სძინავს არე-მარეს,
 მხოლოდ ძალი უპატრონო
 შეჭმუის და შეჰყევს მთვარეს.
 ჩუ, ეს წყნარად ვინ ქვითინებს?
 ეს ვინ აფრქევს ცრემლსა ცხარეს?
 იგი ჩუმი ნაბიჯითა ებარება ჩემსა სარკმელს.
 სახე კენესით მოღლილი აქვს,
 მწუხარების ცრემლთა დამოჭმელს.
 — ისო, მე ხომ არ შეძახდით?
 თქვენ იძახდით სახელს ჩემსა?
 როგორა ხართ? გინდათ, წავალ,
 გავალევიძებ დედა ჩემსა?..
 — არა, ნუნუ, კარგადა ვარ,
 წადი და შენც დაიძინე.
 ბავშვო, ჩემთვის ნუ სწუხდები,
 ნურას დარდობ, მოიღბინე.
 და წავიდა წყნარის საბით
 მქმუნვარე და სევდიანი...
 ისევ ყუჩობს დედაშიწა,
 მღუმარებენ... მთები... ცანი ..
 შუალამის ტკბილი ძილით
 სძინავს მყუდრო არე-მარეს,
 მხოლოდ ძალი უპატრონო
 შეჭმუის და შეჰყევს მთვარეს.
 შორს მიტაცებს კეშანი,
 ჩემში ჰბადებს სევდას მწარეს,
 ჩემი ყოფნაც იმ ძაღლსა ჰგავს
 ობოლსა და მგლოვიარეს:

აქედანაც მალე წავალ,
 გადავივლი უცხო მთა-ველს,
 ნუნუ ველარ მოადგება
 ჩემს კარსა და ჩემსა სარკმელს...

IV

აი, ახლა სხვაგანა ვარ,
 წამოსული სხვა მხრისკენა,
 გზა-აბნეულ მარტოობამ
 ხანგრძლივ არსად დამაყენა.
 ნეტავ მომცა სადმე ბინა,
 ნეტავ სადმე დამასვენა.
 ნეტავ მთელ ჩემს სიცოცხლეში
 ერთი წუთით მომცა ლხენა!
 დაიწყებლოს ჩემი ბედი,
 დაიწყებლოს ჩემი მზგავსი,
 თუ-კი გულს არ მოშორდება
 სიობლე და მისი ხავსი.
 ვინ, ვინ იყო ჩემი მტერი,
 გზა ასე ვინ ამირია,
 რომ დღემდე ვერ გამოგია,
 ცხოვრება რა-ნაირია!..

ბებერი კლდის მალალ წვერზე,
 უსასობით ქანც მიხდილი,
 ეზივარ მარტო, ფიქრით მძიმე,
 მის ცივ-მკერდზე მიყრდნობილი,

და გავყურებ კრემლიანი
 ყმაწვილობის ცის-კიდურსა,
 ჩემი წარსულ ცხოვრებისა
 სივრცეს შავს და უდაბურსა,
 სადაც მხოლოდ ნუნუ მოჩანს
 სასიამო ოაზისად,
 სადაც მხოლოდ ნუნუს ვხედავ,
 სანუგეშოს ობლობისად ..
 მაგრამ ნუნუს ვეღარ ვნახავ,
 ვით ვერ ვნახავ წარსულ ღღეთა,
 და ვინ იცის, უის მხარეში
 დავლევ სულსა მწუხარედა!..

წერილი ნუნუსთან!

„ნუნუ, ახლა სხვაგანა ვარ,
 მაგრამ სულ შენ მაგონდები,
 რო მოგყვანდა ხოლმე ჩემთან
 შენი ტოლი მეგობრები.
 მახსოვს, მხოლოდ შენა გრძნობდი
 ჩემს წუხილს და ჩემს ობლობას,
 და მხოლოდ შენ მთვალყურობდი,
 შენ ცდილობდი ჩემს გართობას.
 ვახსოვს, ნუნუ, შენ რომ მთხოვდი
 ამბების თქმას ობლებზედა
 და, ყრმავ, ჩემი ნაამბობი
 კრემლსა ვგვრიდა თვალეებზედა?
 შენ გიყვარდა უპატრონო,

უსასოვო სულდგმულები,
 მათთვის ჰკენესდი, მათთვის სწუხდი,
 მათთვის იყავ გულწყლულები.
 ნუნუ! მე ღმერთს ამას ვთხოვ,
 მხოლოდ ამას ვევედრები,
 რომ გიყვარდეს დიდობაშიც
 უპატრონოდ შთენილები.
 მაშინ ღმერთი შეგიყვარებს,
 ღმერთი მოგცემს საფარველსა
 და ეგ შადლი შეგიმცირებს
 ამ ქვეყნიურ სატანჯველსა!

შენი ისო.

ი. მკედლიშვილი.





რა ნახა პატარა ბიჭმა, როცა შპრაპად იჯდა.



იძია ენდი და პატარა ბიჭი დიდ უღრან ტყეში შევიდნენ, უნდოდათ თვალ-ყური ედევნებინათ ცხოველებისთვის, იმ დროს, როდესაც იმათ ფიქრშიაც არ მოსდით, რომ ვინმე უყურებს; უნდოდათ ენახათ, როგორ ცხოვრობენ და რას აკეთებენ კურდღლები, ვაკებები, დედოფალები და კვერნები, ირმები, ზღარბები და სხვა მშიშარა ცხოველები, რომლებიც ასე ახლოს ვერცხლის ტბის ნაპირებზე ბინადრობდნენ.

ბიჭამ მხოლოდ იმ პირობით შეუსრულა პატარა ბიჭს თხოვნა და წაიყვანა ტყეში, რომ იქ სრულიად უძრავად ყოფილიყო და სიჩუმე დაეცვა. წასვლის წინ დიდხანს არიგებდა ბავშვს, როგორ უნდა მოქცეულიყო და აუხსნა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ მოქმედებას.

— იცი, როდესაც ამორჩეულ ადგილას დავსდებით, საიდანაც შეგვიძლია ცხოველებს უყუროთ, გვეგონება, რომ

მარტონი ვართ, მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ იქნება. ყოველ ბუჩქიდან, ყოველ ხიდან, ხის ფოთლებიდანაც კი მოგვაჩერდება გამჭრიახი თვალეები, არა ერთი და ორი წველი, არამედ ბევრი, ძალიან ბევრი. ცხოველებს გაუყვირდებათ — რისთვის მოვსულვართ აქ ასეთი შახინჯი არსებანი და ზიზღით დაგვიწყებენ ცქერას. ჩვენი მხრით სულ უმნიშვნელო გახმაურებაც კი შიშის ზარს დასცემს იმათ და ეცდებიან ქეასავით უძრავი გახდნენ, რომ ვეღარ შევაჩნით. ასე გვითვალთვალეებენ რამოდენიმე ხანს; ჩვენ-კი სულ-განაბულნი უნდა ვისხედეთ. ვეღურ ცხოველებს საკვირველი გამჭრიახი თვალეები აქვთ: სულ პაწია მოძრაობასაც ძალიან შორ მანძილზე ხედავენ, მაგრამ თუ დიდხანს სრულიად გარინდული ვიქნებით, კუნძი, ქვა, ხე ან საზოგადოდ ისეთი საგანი ვეგონებით, რომელიც მათთვის საშიშს არაფერს წარმოადგენს. ვეღურ ცხოველს ხეზე ჩამოკიდული, აფრიალებული პაწია ჩუარის ნაგლეჯის უფრო ეშინია, ვიდრე დიდი და მძლავრი ადამიანისა, რომელიც ვაქვავებულებით ზის და თითსაც არ ანძრევს. ცხოველი მის სიახლოვეს არაფრად ჩააგდება და არ დაერიდება, თუ გინდ კაცი თვალს არ აშორებდეს. მაგრამ საკმაოა თითის ოდნავ გაქანება, საკმაოა სრულიად უმნიშვნელო მოძრაობა, თითქმის შეუნიშნავი ავით ადამიანისთვის, რომ ცხოველი დაფრთხნეს.

ბავშვმა ჩუმად ვასწია ხელი ზურგს უკან და სულ ნელა გაანძრია თითი.

— სასაცილოა სწორედ, რომ ეს ვინმემ შეამჩნიოს, გაიფიქრა მან, მაგრამ ბიჭმა თითქმის მიხედა და განაგრძო, — ამას გარდა უნდა იცოდეთ, რომ ყველა ცხოველი მარტო წინიდან-კი არ დაგიწყებს ყურებას; ყოველი მხრიდან აგხედ-დაგხედავს. წარმოიდგინე, სულ პაწაწინა თავუნამ თავი გამოჰყო თავის პაწია, ფოთლით დაფარულ სოროდან, რომელიც, ვთქვათ, აქვე შენს ახლო არის. შეიძლება, შენ უკვე ათი წუთი იჯექ უძ-



რავად და ის კიდევ დარწმუნდა, რომ სრულიად განუხლებელი საგანი ხარ, ვააცმაკუნა უღვაშები და ის იყო სოროდან ამობტომას აპირებდა, როდესაც შენ იმ ფიქრით, რომ ამას ვერავინ ვერ შეამჩნევსო, ზურგს უკან ოდნავ შეანძრიე თითი. (ამ სიტყვებზე პატარა ბიჭი საშინლად გაწითლდა). საქმეც იმაშია, რომ თავი ამას მაშინათვე შეამჩნევს. წაშვე მიხედება, რომ შენ მკვდარი-კი არა, მატყუარა და უეკველად ძალიან საშიში არსება ხარ, და უღვაშების ცმაკუნით ისევ სოროში ჩაძვრება. თავუნას რომ შეშინებულს დაინახავენ, სხვებიც დაფრთხებიან. არ გავა ერთი წუთი, რომ გარშემო საშინელი ალიაქოთი ასტყდება. ყველა გაიგებს, რომ შენ საშიში მტერი ხარ, სულ-განაბული, მათ სადარაჯოდ მოსული და არა კუნძი ან უსულო გვამი, რომლის დასუნვა თავისუფლად შეიძლება. ხომ კარგად გაიგე ახლა, რადიდი მნიშვნელობა აქვს ჩემად და უძრავად ყოფნას? უნდა ისე გაირინდო, რომ სრულიად უსულო საგანს დაემზგავსო.

ბავშვმა ჩქარ-ჩქარა დაახამხამა თვალები.

— კარგი, ბიძია, მაგრამ სრულებით არ შემოძლია თვალები არ დაეახამხამო. შემოძლიან პირობა მოგცე, რომ არ გავანძრე თითს, არ შევიქმუხნი ცხვირს, მაგრამ თვალებს თუ არ დაეახამხამებ, მაშინათვე კრემლებით ამეფსება და ვერაფერს ვერ დაეინახავ; მაშინ რაღად მინდა უძრავად ჯდომა?

— ჰო, რასაკვირველია, არ შეგიძლია თვალი არ დაახამხამო. — დაეთანხმა ბიძა: — რასაკვირველია, არ შეგიძლია სული არ მოითქვა. მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ არ უნდა იხმაურო. — მაგრამ კმარა! ახლა ყური დამიგდე, რა გითხრა: დანიშნულ ადგილზე თითქმის მისული ვართ და რაც უფრო ადრე დავწყნარდებით, ჩვენი ველური მეზობლებიც უფრო მალე დაგვენდობიან. მაშ დახსოვ, როგორც-კი დავსხდებით, არც ერთი შენი ასო არ უნდა გაანძრიო, თუნდ კოდოებიც დაგესიონ და კბენა დაგიწყონ.

— რასაკვირველია, — მტკიცე ხმით სთქვა ბიჭუნამ. — კოლოების არ ეშინოდა. ამ მხრით გული დამშვიდებული ჰქონდა. ხშირად განგებ გამოუცდია მათი კენა, რომ ენახა, როგორია სისხლით გაბერილი კოლო. ბევრჯერ მოუთმენია ტკივილი და მამაცად უცქერია, როგორ სწუწნიდა კოლო სისხლს, და შემდეგ ცნობის მოყვარეობით დაუთვალეირებია მისი გაწითლებული მუცელი.

— კარგი, მაგრამ თუ ბუზანკალი მოფრინდა და შარვალში შეგიძვრა, მაშინაც არ გაინძრევი?

— არა, — ცოტათი გაუბედავად უპასუხა ბავშვმა.

კარგად იცოდა, რა აუტანელი იყო ეს, მაგრამ მერმე მოაგონდა, რომ ჯიბეში პატარა თოკი ჰქონდა და ხელად მოისაზრა: შარვლის ტოტებს შევიკრავ და ბუზანკალი ვეღარ შემიძვრებაო. მაშინვე დამშვიდდა და თამამად უთხრა ბიძას:

— არა, ბიძია, ამისიკ არ მეშინია.

— კარგია, ენახოთ, — ეჭვით წარმოსთქვა ბიძამ, მას ფიქრშიაც არ მოსდიოდა ბავშვის მოსაზრება, მაგრამ, როცა დაინახა, რომ ჯიბიდან თოკი ამოიღო და დინჯად მოარგო შარვლის ტოტებს, სიამოვნებით გაიღიმა.

ბიძამ ძალიან მოხერხებული ადგილი აირჩია საზევრავად. აქ იყო დიდი კუნძი. ზურვის მისაყრდნობად. რბილ ხავსს ზევიდან დაჰყურებდა ხშირ-გაშლილ ტოტებიანი ალვის ხე. ვერცხლის ფერი ფოთლები გარშემო ჩრდილს ჰფენდა. დაბლა დაბრილ ტოტების ქვეშ ჩვენი მზვერავები თითქმის არ ჩანდნენ და თითონ-კი თავისუფლად შეეძლოთ არა ხშირ ფოთლებიდან ქვრეტა. ფეხები ხის ფესვებ შუა გაკიშვს და მოხერხებულად მოთავსდნენ.

პირველ წუთს ბავშვს არ გასკირებია უძრავად ჯდომა. მეორე წუთს ცხვირის მოთხანა მოუხდა და დროს ანგარიშიც დაებნა — ვერ მიმხვდარიყო, თუ რამდენ ხანს ისხდნენ აქ. მესამე წუთს უცებ იგრძნო, რომ მის ქვეშ რაღაც პატარ-

რა ჯობი იყო. მეოთხე წუთს ეს პატარა ჯობი მის გონებაში დიდ და საშინელ მახვილ-წვეტიან ჯობად გადაიქცა. ეგონა, რომ ტანში შეერქო და სამუდამოდ დაასახიჩრებდა. ბიძიანდის ალბად არ უფიქრია, რა საშიშროება მოგველის და საჭიროა მივიქციო მისი ყურადღებაო, — გაიფიქრა ბავშვმა, მაგრამ, სანამ თავის გადაწყვეტილებას ასრულებდა, დადგა მებზუთე წუთი: მასთან ერთად მოფრინდა ყვითელი ბუზანკალი და ბავშვს ჯობზე ფიქრი სულ დაავიწყა. ბუზანკალი სწორედ მუხლის ქვევით დააჯდა, სადაც არც წინდა სწვდებოდა, არც შარვალი; მოსჩანდა მხოლოდ კოლოებისაგან დაკბენილი ტიტველა წვივი. ბუზანკალმა დაიწყო წვივზე ცოცვა, თითქოს ამ საუცხოო საგნის გამოკვლევის შეუდგა. ბავშვმა მთელი თავისი ძალღონე შეერობა და თავი შეიშავრა. სამაგიეროდ მალე გამარჯვებული დარჩა. მოტყუებული ბუზანკალი რომ გაფრინდა, სიცილი ძლივს შეიკავა.

ასე გავიდა მებზუთე და მეექვსე წუთები. მეშვიდე და მერვე მთლად ბიძის შესახებ იჭვიანობას მოახმარა. პატარა ბიჭეგონა, რომ ასეთ ძნელ მდგომარეობაში უკვე მთელი საათი გაატარა. თუ აქამდე საყურადღებო არაფერი მოხდა, რასაკვირველია არც მერე მოხდება. მაშ რისთვის მოიყვანა აქ ბიძამ? ნუ თუ მარტო იმ აზრით, რომ იმის ეშმაკობისათვის თავი დაეღწია, ან უნდოდა, რომ ის წყნარად მჯდარიყო. ალბად გულში დასკინის ახლა, რომ ასე მოხერხებულად მოატყუა. სამწუხაროდ ბიძიას სახე არ ჩანდა; იქნება ახლა ტკბილად სძინავს კიდევ. მეცხრე წუთს ბავშვმა ორსავე ფეხში საშინელი ჩხვლეტა იგრძნო, თითქოს ათასობით ერქობოდა ნემსები და მთელი თავისი ყურადღება ამ ამბავს მიაპყრო. ძალიან კარგად იცოდა, რა საშუალებას ხმარობენ ამ შემთხვევაში: საჭირო იყო ადგომა და განძრევა. მაგრამ როგორ მოიქცეს? ადგეს? უკებ თავისი დაპირები: მოაგონდა. ახლა ეს დაპირება სტანჯავდა, გულს უდაგავდა. არა რაც უნდა გაუ-



ჭირდეს, სიტყვას ვერ გასტეხს. დეე დასძრეს ორივე ფეხზე, ინანოს მერმე ბიძიამ და იტანჯოს მთელი სიცოცხლეში. ამ ფიქრმა 'ცოტათი ანუგუშა პატარა ბიჭი.' გადიოდა მეთათე წუთი, გადიოდა დაუსრულებელ ტანჯვაში. ნემსები საშინლად სჩხვლეტდა, საშინლად უნდოდა განძრევა, გული თავისი თავის სიბრაღულით ევსებოდა.—თუ ბიძია ასეთი სასტიკია, მან თვითონ უნდა იზრუნოს თავის თავზე,—მაგრამ ვერ მოასწრო საბოლოოდ რისიმე გადაწყვეტა. უცებ ისეთი ამბავი მოხდა, რომ ტკივილები და ექვიანობა სულ დაავიწყა.

მის წინ გაჩნდა ორი მოყვითალო-თეთრი, თოვლივით თეთრ-ფეხებიანი პატარა კურდღელი. კურდღლები ერთიმეორის უკან დაბტოდნენ. პირველი ბიძია ენდის ფეხებს ისე გადააბტა, თითქოს ეს ფეხები არავითარი კურადღების ღირსი არ იყო. მეორე-კი შეჩერდა და უკანა ფეხებით მიწას ცემა დაუწყო. ამ ნიშანზე პირველიც გაჩერდა. ორივენი უკანა ფეხებზე ჩასკუბდნენ, ყურები წინ წამოკჭვიტეს და გულმოდგინედ დაუწყეს თვალთვლება ორ უძრავ არსებას.

ბავშვის მთელი ყურადღება ახლა განსაკუთრებით მის წინ ჩასკუბებულმა კურდღელმა მიიტკიცა. ისიც შემკრთალი მისჩერებოდა ბავშვის თავისი დიდრონი, გამოკაცოული თვალებით და ცნობის მოყვარეობით ათვალთვრებდა.

გრძელი ყურები ენძრეოდა, დაფიქრებული სამკუთხი სახე თრთოდა და კანკალებდა, თითქოს კურდღელი თავის თავს ელაპარაკებოდა. ბოლოს აღბად გადასწყვიტა, რომ ბავშვი საყურადღებოს არაფერს წარმოადგენდა, ისევ უკანა ფეხებზე დაეშვა და ფოთოლს დაუწყო ღეჭვა; მალე იმასაც თავი მიანება და ხტუნვა განაგრძო. აღბად უფრო გემრიელი საჭმლის ძებნას შეუდგა. მ-სა ამხანაგიც, აქამდე რომ შიძია ენდის ათვალთვრებდა, უკან გამოუდგა. მაგრამ ეტყობოდა სრულიად დამშვიდებული არ იყო, რადგან ხშირად იხედებოდა უკან, ხომ არ მოგვდევენ ეს უცნაური საგნებიო.

ბავშვს თავში, ბევრი სხვა-და-სხვა კითხვა უტრიალებდა, მაგრამ, შეუღლა თუ არა მათ მოწესრიგებას, უცებ შენიშნა, რომ მისკენ მოცოცავდა რაღაც უცნაური, დაბალ-ფეხებიანი, გრძელი, გველივით მოქნილი ცხოველი. მალე გამოჩნდა მისი თავიც და წვეტიანი დინგი. ეს იყო კვერნა. თვალის გადავლენაც ვერ მოასწრო ბავშვმა, რომ ის უკვე მის ფეხებთან გაჩნდა. შერბე სწრაფად გადახტა უკან და დაკრიჭა თავისი ბასრი კბილები. ველური, ბოროტი თვალეზი პირდაპირ ბავშვის სახეს დააშტერა. კვერნა თითქოს მოელოდა—ახლავე ყელში მწედება ეს არსებაო, და თვალეზი ცეცხლივით აენტო. მაგრამ ცეცხლი თან-და-თან ნელდებოდა, ქრებოდა; კვერნა დარწმუნდა, რომ არავითარი ხიფათი არ მოელოდა. მოიბრუნა სამკუთხი სახე და მოუსვენარი წვეტიანი ცხვირით გარშემო ყნოსვა დაიწყო. ჩქარა იგრძნო კურდღლის სუნი და ჩუმი ხტუნვით ახალ კვილს გაჰყვა. ბავშვი მაშინვე მიხვდა, რას ნიშნავდა კვერნის მოულოდნელი წასვლა და უნებლიედ გაიფიქრა:

«ეჰ, ნეტავი ვერ ნახავდესო!»

კურდღლებზე და კვერნაზე ფიქრი უცებ გაუანტა უშველებელმა, მსუქანმა და მსხვილმა მუხლოუბამ, რომელიც ბავშვის სახელოზე მიცოცავდა. ტანი მოყვითალო, თავი-კი შავი ჰქონდა. ბავშვს ცოტათი ეშინოდა მუხლოუბის და შეწუხდა; ვაი თუ კისერში ჩაშიძვრესო. ამის ატანა-კი აღარ შეეძლო. უცებ უშველებელი, თეთრ-ზოლებიანი მწერი დაეშვა მუხლოუბის ახლო და მიცოცდა მასთან. ოდნავ უჩხელიტა თავისი შხამიანი ხორთუმი და მუხლოუბა მაშინათვე დაიგორგლა და გაიჩინდა: «მწერმა დარქირა ის წინა ფეხებით, როგორც ციყვს უქირავს ზოლმე კაკალი, და წუწნა დაუწყო. შემკრთალი ბავშვი ამ საშინელ საუზმის ქამას გულ-ამღვრეული უყურებდა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ იძროდა. მწერს მაგრად ექირა მუხლოუბა და სწუწნიდა. მუხლოუბა თან-და-თან

იღვოდა და პატარაედებოდა, სანამ მუხუდოს ოდენა არაგანა და. შინც კიდევ დიდხანს ატრიალა — მწერმა იქნება კიდევ გამოვუწუნო რამეო, და, რომ დარწმუნდა — აღარაფერი იყო, განზე შიავდო და მზიარული ბზუილით გაფრინდა. ბავშვმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

მაგრამ ახლა წვეტიანმა ჯოხმა გაუქირა საქმე. საკვირველია, როგორ შესძლო ამდენ ხანს დავიწყება; უკვე რამოდენიმე საათი იქნება, აღბად, რომ ამ საშინელ ჯოხზე ზის. უცებ, სწორედ იმ დროს, როდესაც ბავშვი დარწმუნდა, ჯოხი უკვე ღრმად შემერქო ტანშიო, სულ ახლოს ნელი შრიალი გაისმა. ბავშვს შიშით გული აუცახცახდა. შრიალი ოდნავ გასაგონი იყო, მაგრამ მუქარას ნიშნავდა. ბავშვმა დაიხედა ძირს და ტყის პაწია თავვი დაინახა. თავუნა ეცა დიდ ნაცრისფერ პეპელას და დაიქირა. რამოდენიმე წამს პეპელას ვეებერთელა ფრთები საშინლად უკანკალებდა. მაგრამ თავუნამ სწრაფად მოგლიჯა ფრთები, რადგან ცარიელა ტანის სოროში ჩატანა უფრო ადვილი იქნებოდა. ამ დროს თავვი ისე ახლო იყო ბავშვთან, რომ იმის დასაქერად მხოლოდ ხელის ვაწვდა იყო საჭირო, მაგრამ თავუნას ეს არც-კი შეუნიშნავს. სრულიად დამშვიდებული მიათრევდა პეპელას თავის სოროსკენ, რომელიც ხის ფესვებს ქვეშ კქონდა გაკეთებული. ჩაიძალა თუ არა თავვი, გამოჩნდა გაუშამღარი, ბოროტ-თვალეებიანი მიწის მთხრელი — ყველაზე უფრო გამბედავი და ანჩხლი მთელ თავგების გვარში. რომ დაენახა, არა თუ წაართმევდა თავუნას წანადირევს, თვითონ მასაც დააყოლებდა საუზმედ. უცებ მიწაზე დაყრილი ფრთები დაინახა, აილო და გასინჯა, მაგრამ სჩანს არ მოეწონა, წამსვე შიავდო და ბავშვს ფეხსაცმელებში ეცა. ტყაი! ეს რალაც სრულიად უცნობი იყო მისთვის. ცხვირი შეაბო ფეხსაცმელებს, მაგრამ არც ეს მოეწონა და ზევით აცოცდა. დასუნა თასმები და განაგრძო გზა; მიუახლოვდა გატიტვლებულ წვივს.



— ნუ თუ ფეხის ხერას მიპირებს?—გაიფიქრა შეწყობილმა ბულმა ბავშვმა და შიშით თვალები გაუფართოვდა.

მაგრამ შიში ტყუილი გამოდგა. კოცხალი, ექვი არაა, კოცხალი ხორცი, ადამიანის საზარელი სუნით გატენილი, მიწის მთხრელს შეეზიზღა, შეშინებული წივილ-ქვივილით განზე გადახტა და მალე ბუჩქნარს მიეფარა.

— აჰა, ასტებს ახლა აღიიქოთს და მადლობა ღმერთს აღგომა შემეძლება, — გაეხარდა პატარა ბიჭს.

მაგრამ მოსტყუედა: ბავშვის არ შეშინებია მიწის მთხრელს; მისი გაქცევის მიზეზი სულ სხვა იყო: ათი-თორმეტი ნაბიჯის მანძილზე წელა მოჩანჩალებდა მელია. წივილის გაგონებაზე მან თავი მოიბრუნა და აღვის ხის ძირში ორი უძრავი ადამიანი დაინახა. ისე ახლოს იყო მათთან, რომ შეეშინდა და საჩქაროდ სამიოდე ადლის სიშორეზე გადახტა. შემდეგ კოტათი დაშვეიდა, უკანა ფეხებზე დაეყუდა და საკვირველ სანახაობის თვალიერებას შეუდგა. რასაკვირველია, მელია კარგად იცნობდა ადამიანებს. იცოდა მათი ეშმაკობა-კარგად ესმოდა, რომ ადამიანებს, ნამდვილ ადამიანებს არ შეუძლიათ ასეთ უზურხულ მდგომარეობაში ყოფნა, თუ არ სძინათ ან არ მომკვდარან. თავმობრუნებული, პირდაღებული მელია დაფიქრებული იჯდა რამოდენსამე ხანს და ბოლოს გადასწყვიტა, რომ ადამიანებს ან ეძინათ, ან მკვდრები იყვნენ, ამიტომ ვერაფერს ავენებდნენ; ადგა და, თითქოს აქ საყურადღებო არაფერი იყო, წყნარად გაუდგა გზას. ვარშემო მუშკის სუნი დასტოვა. უცებ მელიას თვალი მოჰკრა ხეზე შემომკვდარმა ჩხიკვმა. ქვეით ჩამოიწია და საშინელი წივილი-მორთო. ტოტიდან ტოტზე დაფრინავდა და ტყის მცხოვრებლებს ხმა-შალლა გასძახოდა:

— ბრიკათ, ფრთხილად იყავით, ავაზაკი მოგვიახლოვდა! უკურთხილდით, ავაზაკი მოდის, ავაზაკი!

ვაანჩხლებული მელია ხან-და-ხან შეჩერდებოდა და გულ-



მოსული გახედავდა თავხედ ჩხიკვს, რომელმაც ასე ვერაფერად ჯიშა და ჯიშა ნადირობდა.

ამასობაში ხეების ტოტებზე შეგროვდა ბევრი სხვა ფრინველიც: ბელურები, ნიბლიები და სხვა წვრილ-ფეხა ჩიტუნები. ყველანი შეშინებული ხმით ბანს აძლევდნენ ჩხიკვს. ზოგი სწორედ ცხვირ-წინ გაუფრინდებოდა მელას და ისედაც ვაბრაზებულს კიდევ უფრო აგულისებდა. ჯერ კიდევ შორს არ იყო წასული, როცა ველზე კაკაბი გამოვიდა.

მას პაწია, უსუსური ბარტყები მოსდევდნენ. კაკლის ოდენა ბარტყები დედის გარშემო ტრიალებდნენ და ხარბად ყლაპავდნენ ყველაფერს, რასაც დედა უგროვებდა. პატარა ბიჭი ამ სურათს თვალს ვერ აშორებდა. პაწიების სიმარდემ და სიკობტავემ გაიტაცა. ძალიან უკვირდა, მაღალ ბალახებში როგორ არ იბნეოდნენ და დედას ერთ წუთითაც არ ჰკარგავდნენ.

ამასობაში მელიაც დაბრუნდა და ჩუმად მოიპარებოდა ბუჩქებში. ბავშვს ძალიან უნდოდა შეეტყობინებინა საწყალი დედა კაკაბისთვის, რა განსაცდელი ადგა თავს, მაგრამ მოაგონდა თავისი დაპირება და ჩუმად დარჩა, თუმცა გული შიშით უცახცახებდა.

მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. კაკაბმა ბავშვზე უფრო ადრე შეამჩნია მელია, ერთბაშად მოიკუნტა და მისუსტებული ხმით შეჰკივლა. ამით ამცნო შეიღებს, რომ თავისთვის ეშველათ. ძნელი გასარჩევი იყო, საიდან მოისმა ეს სუსტი კივილი, მაგრამ წიწილები წამსვე სადღაც გაქრნენ. პატარა ბიჭისთვის ცხადი იყო, რომ, რაც უნდა ცქვიტი ყოფილიყვნენ პაწიები, შორს წასვლა არა გზით არ შეეძლოთ. კარგად ესმოდა, რომ ისინი აქვე ახლოს სადმე დაიშალნენ. ხავსა და ფოთლებში, რომლებსაც ასე საოცრად გვანდნენ. მაგრამ სად? ძალიან შეეცადა დაენახა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შენიშნა, თითქოს ყველანი მიწამ ჩაყლაპაო.

მელია ამ დროს ვაფაციცებით იხედებოდა აქეთ-იქით. მხოლოდ იქითკენ არ გაუხედავს, საითკენაც საჭირო იყო. კდილობდა გამოეცნო, საიდან მოდიოდა ხმა. უცებ სულ ახლო მასთან გამოჩნდა ბებერი კაკაბი. ეტყობოდა, შიშმედ დაქრილი იყო: საცოდავად დახოხავდა ხავსზე. მელია მივიარდა დასაჭერად; მაგრამ კაკაბი რაღაც გაუგებარი საშეაღებით სწორედ ცხვირ-წინ გაუსხლტა. მელია გაქვირდა. მაგრამ დევნას თავი არ დაანება; დარწმუნებული იყო, მეორეჯერ ველარ გაექცეოდა და მარდად გამოუდგა უკან. ხოლო კაკბის დაჭერა არც ახლა გამოდგა ადვილი. ყოველთვის, როცა მელიას ეგონა, ეს ეს არის კბილებს დავაღვებო, კაკაბი როგორღაც ახერხებდა გაქცევას. მელია-კი შისდევდა და მისდევდა ბუჩქებში, სანამ ორივე სრულიად თვალს არ მოეფარა. გავიდა საშიოდე წუთი. უცებ მოისმა კაკაბის ფრთების თავისებური შრიალი და ველზე გამარჯვებული დედა გამოჩნდა. ჩამოფრინდა სწორედ იქ, სადაც ამას წინად შეილებთან ერთად იყო. ერთ წუთს ჩუმად იდგა. თავი მალლა აიღო და ნათელი გამჭრიახი თვალებით არე-მარე დაათვალიერა. შემდეგ ნაზი, ალერსიანი ხმით მოიხმო შეილები. თვალის დახამამებაში თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, წიწილები გარს შემოერტყნენ დედას, რომელმაც თავმომწონედ წაიყვანა ისინი სხვაგან.

ისევე სიჩუმე ჩამოვიარდა. არავინ არ მოდიოდა:

— რა კარგი იქნებოდა ახლა ზღარბის, ან რმის, ან ჯერიანის ნახვა! — ნატრობდა ბავშვი:

— დათვი რომ მოვიდეს უცებ? — ამ ფიქრზე ტანში ქრუანტელმა დაუარა:

— ვაი, თუ ფოცხვერი მოვიდა, მაშინ ხომ დავიღუბეთ!?

მაგრამ ამ საშიშ ცხოველების მოსვლამდე ბუჩქებში საზარელი შრიალი და ტკაცინი გაისმა. ეილაც შორბოდა თავმობულებული. თი გამოხტა კიდევ ბუჩქებიდან. ეს იყო კურ-

დღელი. ბავშვს ექვი არ ჰქონდა, რომ ეს ერთი იმ დღე-ღამეებში დაეშინებინა. დღელთაგანი იყო, რომლებიც ამ ცოტახნის წინაღ წაყიდნენ აქედან. ცხადი იყო, რაღასაც ძალიან შეეშინებია; რაც ძალი და ღონე ჰქონდა მორბოდა, მოსახვევზე ცოტას შეჩერდებოდა და მთელი ტანით ცახცახებდა. ისედაც სუსტს და პატარა ცხოველს შიში უკანასკნელ ძაღვს ართმევდა. კურდღელმა ალვის ხის წინ გაიბრინა და ბუჩქნარს მიუფარა. იქიდან შეუწყვეტელი შრიალი ისმოდა, ბავშვი მიხედა, რომ ის შორს არ წასულა და აქვე ერთ ადგილზე ტრიალებდა. რამოდენიმე წამის უკან გამოჩნდა კვერნა. კვერნა ნელი ნაბიჯით მოდიოდა, აუჩქარებლივ. ის ახლა წააგავდა დამშვიდებულ გულგრილ მონადირეს, რომელსაც კარგად გათვალისწინებული აქვს, რომ მისი მსხვერპლი ვერსად გაექცევა. და როცა წარმოიდგინა ბავშვმა, რა უნდა მომხდარიყო ახლა მის თვალწინ, საშინლად შესძულდა ეს შეუბრალებელი მონადირე. სწორედ ალვის ხის პირდაპირ შეჩერდა კვერნა და სმენად გადაიქცა. მერმე მოკლე ნახტომებით გაიქცა იქითკენ, სადაც თავზარდაცემული კურდღელი ჩაიმალა. საბრალო მალე ისევ ამოძვრა ბუჩქებიდან, მაგრამ იმ წამსვე მეორე მხრიდან გამოხტა კვერნაც.

მის დანახვაზე კურდღელი გულსაკლავი წრიბინით დაბარბადა ბავშვის ფეხებთან. მიხედა საწყალი, რომ ვერსად გაიქცეოდა, რომ ულმობელ ბედს უნდა დამორჩილებოდა და ღონე-მიხდელი გაჩუმდა.


კვერნამ პირდაპირ თავის მსხვერპლისკენ ვასწია, მაგრამ ველარ მოასწრო დაქერა. მეტის მოთმენა ველარ შესძლო ბავშვმა, მეტის მეტად შეაწუხა კურდღლის გაჭირვებამ: გული სიბრალოლოთ აევსო, წამოვარდა ადგილიდან და მორთო ზელები ქნევა და ყვირილი. ამ დროს ის ისეთი სასაცილო სანახავი იყო, რომ ბიძამ თავი ველარ შეიმავრა და ხმა-მალლა გადაიხარხარა. კვერნა თვალის დახამხამების უშალ ვაჭრა.

კურდღელიც გონს მოვიდა და ბუჩქებში გადახტა. მაგნიტა მხოლოდ ახლა მოისაზრა რა ჩაიღინა და შემკრთალი, გაწითლებული სახით მოუბრუნდა ბიძას.

— მაპატიე, ბიძია, — დარცხვენით წარმოსთქვა მან, — და მნაშავე ვარ, მაგრამ სრულებით არ შემეძლო თავის შეკავება, იცი, სრულებით არ შემეძლო.

— ძალიან კარგად შესმის, — უპასუხა ბიძამ. ადგა, გაიზმორა და დაიწილა დაბუყებული ფეხები. — ვერც გისაყვედურებ. უეჭველია შეც ასე მოვიქცეოდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ საბრალო კურდღლის საცოდავი წივილი ვავიგონე.

მაგიტა.





უპველეს დროის ბავშვის თავ- ბადასავალი.

(გავრძელება).

IX

ტ ბ ი ს ძ ც ხ თ ვ რ ე ბ ნ ი .

კუს ფარზე. — ტბა ტატნობზე. — მოხუცის ტომარა. — უჭვე-
ლეს დროის სანუჭრები. — უცნობი ნავეები. — ღაზარაკი ხაღხთა.
პირის, რომელთაც ერთმანეთის ენა არ ეკურებათ. — ქვის ჭრა-
წვრილი სიბი ქვის საშოვნელად. — უჭველეს დროის ნამუშავე-
რა. — კარკად შენახული ზონჩხია. — მოგზაურების შეხვედრა უცნობ
წინამძღოლებთან. — ტბა. — საფეხებზე წყალზე. — ითქები. რის გამო-
სადგენი არიან სიბი ქვები. — რიფის სიხარული. — კრკის შენახე-
ბა. — ბოძებზე მოწყობილ შენახებში ცხვენება.



ოლოს და ბოლოს ამნაირი მოგზაურობა და-
ლაღვედა კიდევ მგზავრებს და საშიშიც იყო,
რადგანაც არამც-თუ უნდა ცდილიყვნენ არ
შეხვედროდნენ და არ დასჯაბებოდნენ წყალში.
მკურავ ხეებს ან ცხოველებს, ამასთანავე ფრთხილად უნდა
ყოულიყვნენ ფარი არ გადაბრუნებოდათ. ზენი მოგზაურები.



ცდილობდნენ. მის ხმარებას სარების საშუალებით, ხმარებასაც დღითი დღე ვჩვევოდნენ და მართლაც კარგად ის წავლეს, შეეჭვსე დღეს მდინარის მოსახვევში გასკურეს და შორს ვრცელი, კისფერი ნისლიანი მთებით შემოზღუდული ვაკე დაინახეს.

მდინარე, შორს მხედველი კრეკის სიტყვით, თითქოს ამ თავდებოდა და იკარგებოდა ამ ვაკეში.

მაგრამ უხუცესმა აუხსნა ბავშვებს, რომ დიდი კისფერი ვაკე არის — უშველდებელი ტბა, რომელშიაც მოჩანს მოწმენდილი ცაო. ამ დროს დიდ-ყურა რიუგმა სიტყვა იახოვა და შემდეგი სიტყვა:

— დიდი ხანია რაღაცა ხმაურობა მესმის; აი იქიდან, ტყეს განაპირა მარჯვენა მხრიდან, რომელიც გარს ერტყმის და უერთდება დიდ კისფერ ვაკეს. ჯერ ჩრდილო ირმების ფეხის ხმა მეგონა, მაგრამ ახლა-კი დარწმუნებული ვარ, ნამდვილად ქვების ჭახუნი მესმის! მოვალედ ვთვლი ჩემს თავს შეგატყობინოთ ეს. აბა, ყური დაუგდე. კრეკ: შენ უეჭველად ვაიგებ ამ ხმაურობას, რადგანაც იგი დრო გამოშვებით ახშობს მდინარის დუღუნს. რა უნდა იყოს? უხარმახარი ცხოველები სთქრიან მდინარის ნაპირებს, თუ მალე კაყვების მთლებლებს შევხვდებით? აი ეს ვერ გადამიწყვეტია ჯერ. მასწავლებლო, თქვენ რას ფიქრობთ?

კრეკმა დაუგდო ყური და გამოაცხადა, რომ იმის აზრით, ეს ხმაურობა ქვებისაა, რომელსაც ხროვა-ხროვა ერთი მეორეს აყრიან.

— სჯობს ჩურჩულით ვილაპარაკოთ, — სიტყვა მოხუცმა: — შენ კიდე, ჰელი, მომაწოდე ის ტომარა, შენ ფეხქვეშ რომ გღია. ქვებს ალბად აღამიანები ჰყრიან. ახლა საჭიროა იარაღი ხელთა გვექონდეს იმ შემთხვევისთვის, თუ ბრძოლა დაგვჭირდა და აგრეთვე საჩუქრებიც; მე რომ წამოვიდე. იმედი მაქვს, საჩუქრების შეოხებით უკნობი ხალხი პატივისცემით მოგვეტყვია.

ამის თქმაზე უხუცესმა შემოხსნა ტომარაზე შემოკვირილი თასმა. ბავშვებმა აქამდისინ არ იცოდნენ, რა იყო ამ ტომარაში.

საჩუქარი, რომელზედაც უხუცესი სიამაყით ლაპარაკობდა, იმ დროისთვის უსათუოდ იშვიათი რამ იყო: ტომარაში ელაგა შავი ქარვის ნაჭრები, ბროლი, აყივი, კუთელი ქარვა და სხვა-და-სხვა ფერის მარმარილო. ვველა ეს ნატვები გახვრეტლი იყო და ასშული ვულზე შესაბმელიდ. ამას გარდა ჰქონდა კიდევ ზოლიანი ნივარები, ძალიან შორეულ ქვეყნებიდან ამ აღვილას შემოტანილი, ხელოვნურად გაცეთებული პოლოვები შუბებისთვის, სახის შესაღებად წითელი ცარცის ნატვები, სადაფის სადგისები და სპილოს ძეღის ნემსები.

აი ასეთი იყო უხუცესისაგან ნელ-ნელა მთელ თავის დიდხნის სიკოცხლის განმავლობაში შეგროვილი საუნჯე.

ბავშვებს ამ ნივთების შინჯვის დროს გაკვირვებისაგან თვალები უბრწყინავდათ.

მაგრამ დიდხანს არ დასკლიათ ამ საუნჯის შინჯვა: სარებისთვის უნდა ეტაცნათ ხელი, რადგანაც ფარი გაიტაცა ჩქარმა მდინარემ და სისწრაფით მიაქანებდა იმ მარჯვენა ნაპირისაკენ, საიდანაც ახლა ქვების ხმაურობა უფრო-და-უფრო გარკვევით ისმოდა.

მოხუცი ეკითხებოდა თავის თავს, საფრთხე ხომ არაფერი მოგველის, ახლა რომ მდინარეს გავყვეთ, შეიძლება სჯობდეს ფარიდან გადმოსვლა და სადმე ტყეში დამალვაო. ამ ფიქრებში იყო მოხუცი გართული, როდესაც კრეკი შეებო მას და წასჩრჩულა:

— მასწავლებლო, დაგვიჩაბეს! შიგ შუა მდინარეში, ხის შორებზე, ვილაცა ხალხია, და რალაკას გვანიშნებენ.

— რა ექნათ, ახლა გვიანლამ დამალვა, — გაესწიოთ წინ და გულ-მაგრად დაუბედეთ, — მოუფრო უხუცესმა და თვითონაც

დაიწყო ხელებით ნიშნების ძლევა; ჰელის მოჰკიდა ხელი და წამოაღვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩენი მოგზაურების ფარს გარს შემოერთდა ოთხი მოცურავი ვეება საგანი, რომლის მზგავსი თავის დღეში არ ენაბათ არც კრესს და არც უხუცესს: ეს ნამდვილი ნავები იყო, ორივე მხარეს მოვიწროვებულად გათლილი და გულ-ამოქუთუნულ ხის მორებისაგან გაკეთებული. ამ ნავებში ადამიანები იდგნენ და ხელში ნიჩბები ეჭირათ.

— ამ ხალხს ჩემზე მეტი ცოდნა აქვს და შესახვედობა-კი მშვიდობიანობის მოყვარე, — სთქვა უხუცესმა. სწრაფად გადავლო აღტაცებული თვალი ახლად მოსულებს და მათ ნავეებს: — შესაძლებელია მაგათ მიგვიკედლონ კიდევაც, მაგათთან დავლიო ჩემი სიკოცხლეც და ამ ახალგაზრდებსაც მაგათთან მოუბდესთ ცხოვრება. მაგრამ ჯერ ვეცდები, კარგად მიგვილონ.

ასე გადასწყვიტა მოხუცმა და მიმართა კიდევ მშვიდობიანის სიტყვით უცნობ ხალხს, რომელიც მათ ათვალიერებდა არა მტრულად, არამედ გაკვირვებით, და თან ერთმანეთს უთითებდნენ ჩვენ მგზავრების უცნაურ ნავეზე.

მენავეებმა აღბად ვერ გაიგეს მოხუცის სიტყვები; მაგრამ მისმა ბრწყინვალე სახის გამომეტყველობამ, მისმა მშვიდობიანმა, ჰარმონიულმა მიხერა-მოხვრამ, მისმა ალერსიანმა ხმამ დაარწმუნეს ისინი, რომ პატრეცემული მოხუცი და მისი ჯერ კიდე ძალიან ახალგაზრდა თანამგზავრები მოვიდნენ მათთან: მეგობრულის განძრახვით, — შეიძლება სავაჭროდაც.

ნავები ფართან მისცურდნენ; ორივე მხარე მიესალმნენ ერთმანეთს და ღიმილით მოიკითხეს.

თითქმის ყველა ნავით მოსულნი თავის შეიარაღებით და ტანთსაცმელით ძალიან წააგავდნენ ფართ მოსულებს, გარეგნობითაც კი ძალიან არ განსხვავდებოდნენ.

მანამ ამ პირველი შეხვედრის წესი გრძელდებოდა, ნავე-



ბი და კუს ფარი ქარისა და მიმდინარეობის გამო მისკურად
დნენ, მალე თითქმის ტბის შესაჯალთან მივიდნენ, ქვიშის
ნაპირს დაუპირდაპირდნენ და ზვენი მგზავრების წინ, ზო-
გორც უზუცესისათვის, ისე შევილის-შვილებისათვის უცნაური
სანახაობა ვადაიშალა.

ნაპირიდან რამოდენიმე მანძილზე, ქვიშის გორაკის ფერ-
დლებზე და მის მწვერვალზე ხალხი მოდი-მიდიოდა, ზოგი მათ-
განი ტყავის ტომრებს ავსებდა ქვებით, ზოგს კი ავსებული
ტომრები მიჰქონდა ნაპირთან და ნაეებში სკლიდა; ეს ნაეე-
ბი სწორედ ისეთნაირები იყვნენ, როგორც ჩვენ მგზავრებს
შეხვდათ.

სწორედ ამ ქვების ხმაურობა იყო, კრეკსა და რიუვს რომ
შემოცსმათ.

ამ დროს ფარი და ნაეები გორაკის ძირთან მივიდნენ და
ნაპირთან ვაჩერდნენ

როდესაც უზუცესი და მისი თანამგზავრები ნაპირას ვა-
მოვიდნენ, გორაკის მწვერვალზე ერთ განიერ ნაპრალში
რომელიც უთუოდ ქვის ტების გამო დროთა მსვლელობაში
გაიხსნა, ვეებერთელა ცხოველის ჩონჩხი დაინახეს. ცხოველი
უსაბუოდ მრავალი საუცუნოების წინ წყალდიდობის დროს
შვედარი გამოჩივა ზეირთებმა და დამარბა აქ ქვიშით. წყალი
მაშინ უთუოდ უფრო მალა იღვა ვიდრე ახლა.

ეს ლაევარდ სამკუთხე, რომელიც ამ ღია გორაკის
ნაპრალში მოსჩანდა, ეს საშინელი ჩონჩხი გარკვევით გამოი-
ხატებოდა: მისი გრძელი, ვაითებრებული ძვლები უძრავად
იღვა, თითქოს რაღაც უხილაეი ძაფებით არიან დაკავში-
რებულიყო.

უშველებელი პრეტელი, დაცბილული რქები მძლავრი-
თავის ძვლის ორივე მხარეს ვეებერთელა ტოტებიფით უცნაუ-
რად ვაშლილიყო. როგორც სჩანდა, ეს იყო უძველეს დრო-
ის ირემი, ან ვიდრე ცხენ-ირემი.

უზუცესს არა-ერთხელ უნადირობა ცხენ-იწვემზე და უკუ-
მღა-მისი ხორცი, მაგრამ ასეთი უზარმაზარი მხეცობა თავის
დღეში არ უნახავს, და ამ წარსულ-დროის მოწმის შესახედა-
ობამ გააოცა როგორც უზუცესი, ისე მისი თანამგზავრები.

იმ დროს, როდესაც მუშების მეტი ნაწილი განაგრძობდა
გორაკზე თავის მძიმე და ზვენი მგზავრებისათვის გაუგებარ მუ-
შაობას, ამ მუშაობის ხელმძღვანელი მიუახლოედნენ ახლად
მოსულებს.

ლამაზ შესახედაობაზე, დარბაისლობაზე, თმის მორთუ-
ლობასა და ყელ-საბმელზე, ამას გარდა კიდევ ვამგის კვერ-
თებზე უზუცესმა მაშინვე იცნო, რომ ისინი მთელი ტომის
უფროსები იყვნენ და გაუწოდა საჩუქრები.

გამგეებმა გულკეთილად, ხოლო ღირსეულად გაუღიმეს
მას და უზუცესსა და წინამძღოლთა შორის გაჩაღდა გრძე-
ლი ლაპარაკი ნიშნების საშუალებით და ხელების ქნევით.

უზუცესმა განაცხადა სურვილი როგორც თავის მხრივ,
ისე თავის თანამგზავრებისა, რომ დიდის სიამოვნებით მიიღებს
ამ სტუმართ-მოყვარე ხალხის წრფელ, რაც შეჭვერის მათ ღი-
რსებას და ცოდნას, დაპატიებას და დაბინავლებიან მათთან.
უცდებიან გაიზიარონ მათი ჯაფა და ნადირობა, აგრეთვე მო-
წაწილეობას მიიღებენ ყველა საქმეში და მთელი თავის ღო-
ნესა და გამოცდილებას მოანდომებენ ამ კეთილი ხალხის და-
ხმარებას. გამოსთქვა აგრეთვე იმედი, რომ ბოლოს ეს ხალხი
მიიღებს იმათ თავიანთ დიდებულ ოჯახის წევრებად; იმ ოჯა-
ხში, სადაც ისინი საბედნიეროდ მოიყვანა ბედმა, ამდენი შემ-
თხვევებით სავსე მოგზაურობის შემდგომ.

როდესც გამგეებმა მოისმინეს უზუცესის თხოვნა, ჰელის,
რიუგს და კრეკს ფვალღებდა დაუწყეს, ამ ბავშვების თამაშმა
და გულადმა შესახედაობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.
მათ სჭირდებოდათ მოხერხებული და ღონიერი მუშები, რომ
ეს უშველებელი საქმე, რომელსაც ახლახან შესდგომოდნენ

ამ ტბის ნაპირას, დაემთავრებინათ, — რა სახის იყო ეს სამუშაო. შემდეგ შეიკრიბნენ, — და უხუცესის თხოვნას დასთანხმდნენ.

პელი, რიუგი და კრეკი ნიშნად პატივის ცემისა შრიბარნენ მათ წინაშე და მაშინაღვე მზიარულად შეუდგნენ ქვის გროვებას, ხოლო ჯერ-კი არ იცოდნენ, რათა და რისთვის აკეთებდნენ ამას.

რაც შეეხება უხუცესს, რომელიც მაჟ თავის ტალღად მიანად იცნეს იგი, მოუჯდა გამგეებს გვერდით და მათთან ერთად დალია წყალი ნიშნად შეერთებისა. წყალი მას გრძელ ლოკოკინის ნივარათი მიარავეს.

მანამდის ნაგებობა დატვირთეს. ყველა ნაგებში ჩაჯდა, ხოლო ჩვენი მგზავრები თავის ფარში და გაუდგნენ გზას.

მაღე იქ მისკურეს, სადაც მდინარე ტბას უერთდებოდა; ამ ტბის სიღრმე და მისმა სიმშვენიურმა ალტაცებაში მოიყვანა მღვიმეს მცხოვრებნი. კიდევაც ალტაცებულის ყვირილით მიესალმნენ მას.

მაგრამ შემდეგ თვალები მიაპყრეს ამა ნაკლების გაკვირვებით და ალტაცებით ერთ-ერთ ტბის ნაპირს. ამ ნაპირიდან კარგა მოშორებით მოჩანდა თიხით შეღესილი და ლურწამის სახურავებიანი აუარებელი ქოხები. ეს ქოხები აშენებული იყო ვრცელი ხის მორების გოგორებზე, რომელიც ცერდნობოდა წყალში ჩასობილ მორებისვე სვეტებზე. შენობები რამოდენიმე ფუტის სიმაღლეზე იყვნენ ტბის ზედა პირიდან.

წყალი იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ ჩვენ მგზავრებს ტბის სიღრმეში ყოველ ზომის ძირში შექმლოთ დაენახა ქვისა და ქვის ნამტკრევეების გროვა.

ხოლო აქ მიხვდნენ, თუ რისთვის აგროვებდნენ ამათი ახალი ნაცნობები ქვეს გორაკზე და რისთვის ეზიდებოდნენ აქ.

ქვის ნაჯახებით უხეშად გათლილი ხის მორები მაგარ ტბის ძირში ვერ ესობოდა. მორების ზმარება იმ დროს ჯერ არ იცოდნენ.



ზოდები რომ შავრად დაესოთ, ნაევებში მსხდომი ვშველვობოდნენ. ესენი ზოდების ძირში აუარებელ ჭვის გროვას და ქეიშას ჰყრიდნენ.

ასეთი წყალში გაკეთებული შენობები, რომლებშიაც წინანდელი ხალხი ცხოვრობდა, ახლახან აუარებელი იპოვნეს შვეიცარიის ტბებში და სხვა ევროპიულ ქვეყნებში; ამ შენობებს მეცნიერებაში „ტბის შენობები“, ანუ „ზოდებზე აგებული“ შენობები დაარქვეს.

წარმოდგენაც არ შეგვიძლიან, ეორე, თუ როგორის განცვიფრებით შესტკეროდნენ უზუცესი და ჩვენი სამი ახალგაზდა ამ წყალში აშენებულს სახლებს, სადაც მათ ამ დღიდან ნება ჰქონდათ ეცხოვრათ.

— ამ ლერწმის მღვიმეებში, — სთქვა რიუგმა, — დამშვიდებული შეიძლება მოისვენო. ფრინველებისა და კალმახების თავდასხმისა, ან კიდე ცეცხლის თუ შეეშინდება კაცს, თორემ სხვა არაფრისა. გარეულ მხეტთა თავდასხმაზე ზომ ფიქრიც მერტია.

ჰელი და კრეციც ამასვე ფიქრობდნენ.

ხოლო ეს უკანასკნელი, თუზცა ჰხარობდა, რომ ამისთანა მშვენიერ ქვეყანაში მოხვდა, ამისთანა მშრომელ, და სტუმართ მოყვარე ხალხში, შავრამ მის პატარა მართალ გულის სიღრმეში ფუსფუსუნდა ფიქრი იმაზე, თუ რა სასიხარულო იქნებოდა. ახლა აივანზე, რომელიც ქობებს გარს ერტყა, დაენახა თავისი დედის სახე და შაბისა და ონის შხიარული სიცილი.

— ნეტა რას აკეთებდნენ ისინი ახლა? ზომ არ დაეაფიწყდით? ფიქრობდა ის. შავრამ ახალმა სანახაობამ და საერთოდ სუყველაფერმა, რასაც-კი ახლა ხედავდა, ნელ-ნელა განდევნა მის ფიქრებიდან ეს ფაქიზი სინანული და სევდიანი მოგონება.

როდესაც ნაევები ქობებთან მივიდნენ, იმ ალაფთან, სადაც ახლა ზოდების დადგმას აპირობდნენ, კრეცი ხელ-ახლა გამხიარულდა და შხად იყო დაემტკიცებინა, რომ იგი ნამდვილ გულ-



ამ დროს ჭაბების ირგვლივ
ბოგირებზე ამ სოფლის ძეგლ-
ვრებნი შვეროვილიყვნენ და
ათვალიერებდნენ უცხოელების
საკვირველ ნავს.



მოდგინე ვაჟაკია და მთელ თავის ყურადღებას მოანდომებს იმ ოჯახის სასარგებლოდ, რომელმაც ის მიიკვდლა.

ამ დროს ქოხებთან ბოგირებზე ამ სოფლის მცხოვრებნი შეკრებილიყვნენ და ათვალიერებდნენ უცხოელების საკვირველ ნავს.

ახალ მოსულები, რომელნიც ვამგებმა გააცნეს ხალხს, პატივისცემით მიიღო ყველამ. მათი იარაღი და ტანსაცმელი ხანგრძლივ შესწავლის საგნად გაიხადეს ამ სოფლის ახალგაზრდებმა

რადგანაც საზოგადოდ ახალგაზრდები მალე დამეგობრდებიან ხალხს, ამიტომაც კრესა, მის ძმებსა და ტბის მცხოვრებ მათი ხნის ბავშვებს შორისაც რამოდენიმე საათს შემდეგ ისეთი განწყობილება ჩამოვარდა, თითქოს დიდხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

მთვეზე ჰელი იმ მუშებს შეუერთდა, რომელნიც რიგ-რიგად ყურყუმელაობდნენ წყალში.

ჰელი მშვენიერად ყურყუმელაობდა და წყალშიც დიდხანს შეეძლო გაჩერება.


რიუგიკი ნავში დარჩა იმათთან.—რომელნიც ბოძებს წყალში უშვებდნენ; ძალიან მალეც ისწავლა მორების ვათლა ქვის ცულით. ეს ცული ყოით არ ეჭირათ,—არამედ ხის ტარზე იყო წამოკმული.

უხუცესმა რომ ეს ახალი, უფრო ადვილი სახმარებელი იარაღი დაინახა, ვიდრე ის, რომელსაც მღვიმეს მცხოვრებნი ხმარობდნენ, თავის თავს გულში მიულოცა, რომ ისეთ ხალხს შეგვდა, რომელიც უფრო განვითარებული და მოშხადებულია არსებობისთვის ბრძოლაში, და ეს გარემოება კიდევაც სიხარულით აღნიშნა.

სალამოზე, როდესაც ჩვენი მგზავრები დიდსა და კარგს დახურულ ქოხში შოათავსეს, რომელიც მათთვის იყო დანიშნული საცხოვრებლად, უხუცესმა თანამგზავრებს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი.


მარიამ იაშვილი.

4876 0201056



ილია ივანეს-ძე წინამძღვრის შვილი.

...ან მიტოვდნენ ათბეძნა-მშაობს რა უმეღ ათიფომ წამ
საიფო უსოფოთ რაბეძსიფიან ფეფეკამ ფე იფი რაბეძსიფიან
...ცეფუ მიტოვინლი რაბეძსიფი დსი ფე-მშიუ მიტეფან შეღ იფან.



კეთილი მამა.

(წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის 30 წლის იუბილეს გამო).

„ნეტავი ჩემი სასახლე
მალა მთაზედა ამეგო.
გამელელ და გამომელელისთვის
ყველასთვის კარი გამელა;
რაც მეპოვნა და მეშოვნა,
სულ ღარიბებზე გადმეგო“.



ს ხალხური ლექსი გამახსენდა ამას წინად, 29 სექტემბერს, როცა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის არსებობის ოცდა ათი წლის იუბილეს უხდიდნენ. ან-კი როგორ არ მოვიგონებდი ამ ლექსს, როცა ის ლექსი-საფსებრით-ხატავს-სკოლის დამაარსებელის ილია წინამძღვარიშვილის ამავს.

წარმოიდგინეთ, მართლა მთა აღგილას ბატონს აუგია ძვირფასი სასახლე, მაგრამ არა თავისათვის, არამედ გამელელ და გამომელელისათვის. მისი სახლის—სკოლის კარები ყველასათვის ღიაა და რაც კეთილ მოხუცს უშოვნია, თუ უპოვნია, სულ ღარიბთა შვილების აღზრდისათვის მოუხმარია.

მაშ მოდი, ვინც არ იცნობს ამ სხვათა შვილების მამას, გავაცნოთ იგი და ზოკლედ მოვიხსენოთ როგორც ილიას ამაგი ჩვენ ქვეყნის წინაშე, ისე აეწეროთ იუბილეს დღეც.



მცხეთიდან პირი რომ აღმოსავლეთისკენ დაიქიროვნა, „არაგვიან“ არაგვში გასტოპო, დაადგები საგურამოს დედ-გზას, რომელიც შიდის არაგვის გაყოლებაზე, ქართველთ სამხედრო გზის ქეშად, ესე იგი ჩრდილოეთისაკენ. ჯერ ვაივლი პატარა სოფელს—წიწამურს. გზა ჯვარედინზე შეხვდები მუხის შავ ჯვარს. ეგ ის ადგილია, სადაც 1907 წელს 29 აგვისტოს ვერაგულად მოჰკლეს ქართველი მწერლობის გოლიათი ილია ჭავჭავაძე.

წიწამურას მოსდევს ტყე-ბუჩქნარი და ნ—ნ ვერსის გავლის შემდეგ მიადგები სოფელ გურამიანთ-კარს. გურამიანთ-კარიდან გზა არაგვის ქალებს შორდება, უხვევს აღმოსავლეთით, გაივლი არაშენდას, ვალავენს და მიხვალკოპწია სოფელში—წინამძღვარიანთ-კარში. ჯერ კიდევ წინამძღვარიანთ-კარიდან ექვსი ვერსით დაშორებული ხარ, რომ ვხიბლავს ეს სოფელი. შორიდანვე ხედავ კობტა ეკლესიის გუმბათზე მოლაპლაპე ჯვარს. როცა სოფელში შეხვალ, ეს პატარა სოფელი, ტყის პირას გაშენებული, პატარა ქალაქი გეგონება. თქვენს თვალს იზიდავს: სკოლის შენობები, სახელოსნო, მარან-სარდაფი, მასწავლებლების ბინა, თეატრი და სხვა. სოფელშიაც ქუჩებია გაყვანილი და სახლებს ხედავ ქვითკირისას, მიწის ზემოდან და არა მიწურებს, როგორც სხვა მახლობელ სოფლებშია ხოლმე. სკოლის შენობების აღმოსავლეთით, თვალ-წარმტაც ბუნებრივ ფერდობზე გაშენებულია ვენახი, ვენახს ზემოდან ხეხილის ბალი, ბალში ბლებს ქვეშ ჩარაზმულია ჩარჩოიანი სკები. იქვე ერთი მხრით თითქო აჭაურობის დარაჯიანო, დგას ასწლოვანი მუხები, ძველი დროის მოწამენი. ბალის მეორე მხრით გაშენებულია სანერგე. ხეხილის ბალის ზემოდან ბოსტანი, ბოსტანს აკრავს საცდელი სახნავ-სათესი მინდორი, რომლის ზემოდან გამართულია უზარ-მაზარი აუზი.—ეს აუზი აწვდის მცენარეებს ცხოველ-მყოფელ სინესტეს. აუზს ზემოდან აკრავს

მშვენიერი ქოჩორა ტყე, ტყეში ბევრია შინდი, თბილისში
ნელი, ბაბილო, წიწიბო (წიფელა) და ბევრი სხვაც კბილის
გასაქნატუნებელი. აქაურ ტყეში ბლომად არის კურდღელი,
შველი და სხვა ნადირები.

საქმის დღეს რომ ამ პატარა სოფელში შეხვიდე, მოსწავლე ახალგაზრდობის ერთიმულს გაიგონებ. რიგი სკოლაში სწავლობს, რიგი ვენახში მუშაობს, ზოგი ბაღშია, ზოგი ბოსტანში ფუსფუსებს; ზოგიც სახელოსნოში, სადურგლოვებში ან სამკვლელოში ხელოსნობს. რომელი მხრის მოწაფე გინდა, რომ აქ ვერ ნახო: საქართველოს ყველა კუთხის მოსწავლეს შეხვდები, ყველა მხიარულია, ყველას სიტოცხლე და ხალისი ეტყობა, ყველა საქმეშია გართული და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც აქ არის **სასოფლო სამეურნეო სკოლა**, სადა ამ ეპოქად ას ორმოცდა ათ მოწაფეზე მეტი სწავლობს.

წინამძღ.-კარ. სასწავლ. დაარსდა 1883 წელს, 4 ენკენის-თვეს, ესე იგი ამ ოცდა ათი წლის წინად. ამ სკოლის დაარსებამდე ეს სოფელიც ერთი ბეჩაეი სოფელი იყო: სოფელში ქუჩები არ იყო, მიწური სახლები ერთი მეორეზე იყო მიჩხირული. მიწურ სახლებში ადამიანი და პირუტყვები ზამთრობით ერთად ცხოვრობდნენ. აქაურ ხიზან გლეხებს თავისთვის მიჩენილი საბოსტნე ადგილიც-კი არ ჰქონდათ. მიწის ზემოდან, სოფლის განაპირად დაინახავდი მხოლოდ ორ ქვითკირის შენობას; ორივე ეკუთვნოდა აქაურ მემამულე აზნაურებს, გვარად წინამძღვრიშვილებს.

თი ერთ შათგანში ამ სამოცდა ჩვიდმეტი წლის წინად დაიბადა **ილია წინამძღვრიშვილი**. პატარა ილიკო იმისმა მამამ ივანემ, სამხედრო უწყებაში მოსამსახურემ, მიიბარა თბილისის პირველ გიმნაზიაში. ილიკო ნიკიერი ყმაწვილი იყო, გიმნაზია ჩინებულად დაასრულა და შევიდა სახემწიფო სამსახურში. სამსახურშიაც მუყაითობა გამოიჩინა და ძლიერ აღრე დაწინაურდა—დაინიშნა თბილისში მესამე სამოსამართლო უბნის მოპრიგებელ მოსამართლედ. დიდხანს, ძლიერ დიდხანს იყო



ილია მსაჯულად, თითქმის ორმოც წელიწადს და როგორც მიუდგომელმა, შორს გამჭვრეტმა, სიმართლის მოყვარულმა და ჩვენებური ზნისა და ადამის მკოდნემ, ხალხის დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. საქვეყნო საქმე არც სახემწიფო სამსახურის დროს ჰქონდა დავიწყებული ილიას. ჩვენცხოვრებას, ჩვენებურ საზოგადო საქმეს ფიზიკად აღევნებდა თვალ-ყურს და ჩვენი ქვეყნის საჭირ-ბოროტო კითხვებზე სწერდა წერილებს და „ხორეშანას“ სახელით (ფსევდონიმით) ათავსებდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენი ქვეყნის საზოგადო მოღვაწეებთან ილია დიდი დაახლოვებული იყო და როგორც ფაქიზი ზნეობის ადამიანს და ჩვენი ქვეყნის გულშემოტიყვარს, ყველა პატივისცემით ეპყრობოდა.

მდიდარი მემამულის მამის ერთა, წარჩინებული გვარის-შვილი, მშვენიერი სახის ყმაწვილი, საზოგადოებაში მიღებუ-ლი, სამსახურში დაწინაურებული ილიკო, მოსალოდნელი იყო, ცოლს შეერთავდა და თავის ცხოვრებას უდარდელ ფუფუნება-განცხრომაში გაატარებდა; მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ილიას საამისო „ქუდ-ბედი“ არ დაჰყოლია, მისი მოწოდება სულ სხვა იყო, ვიდრე ამ ქვეყნიური ქარაფშუტული ცხოვრება. ილიამ მართალია შეერთო ღირსეუ-ლი მეუღლე მიხეილ არღუთაშვილის ასული **ოღლა**, მაგრამ სამწუხაროდ მეუღლე სულ ადრე გარდაეცვალა. განსვენებული **ოღლა** კაცთ-მოყვარე გულის პატრონი, ნასწავ-ლი ქალი იყო. მას ძლიერ უყვარდა ქმრის სოფლის უსწავ-ლელობით დაჩაგრული ზიზანი გლეხები და მოწადინებული იყო მათთვის სკოლა გაეხსნა. ცხადია მეუღლის ასეთ კეთილ-შობილურ სურვილს ილიაც თანაუგრძნობდა. ილიას შვილი არ ჰყავდა. მან გადასწყვიტა სხვა შვილები შვილობილად გაეხადა, მათთვის მამის მაგიერობა გაეწია, მეუღლის სურ-ვილი განებორციელებინა და თავის სოფელში სოფლის გა-მოსადეგი სკოლა გაეხსნა.



ჯერ ალატ მთელ დუშეთის მაზრაში თორმეტი წლის სკოლის მეტი არ არის და მაშინ ხომ, ოცდა ათი წლის წინანდ, მთელ მაზრაში ერთი სოფლის სკოლა იყო და ამა- შიაც 10—15 მოწაფის მეტი არ სწავლობდა. ილიამ კარგად განსჯერბა, რომ გლეხთა შვილთათვის მარტო წერა-კითხვის ცოდნა საკმარის არ იქნებოდა და ამიტომ გადასწყვიტა გაეხს- ნა სამეურნეო სკოლა. ასეთ სკოლაში გარდა წერა-კითხვისა მოწაფე შეისწავლიდა ოჯახში საჭირო ყოველგვარ საქმეს: მევენახეობას, ღვინის დაყენებას, მებაღეობას, მებოსტნეობას, ფუტკრისა და აბრეშუმის ქვის მოვლას, ხენა-თესვას, საქონ- ლის მოვლა-მოშენებას, დურგლობას, მკედლობას და სხვა. იმ დროს ჩვენში სამეურნეო სკოლა სულ არ იყო და მის დაარსებას ილიას ურჩევდნენ ილია ქაჯქაჯაძე, იაკობ გოგე- ბაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ფროფესორი ილია ოქრო- მკედლიშვილი და სხვა. ასეთი სკოლის მოწყობას და გა- ძღოლას ათჯერ მეტი ხარჯი უნდოდა, ვიდრე წერა-კით- ხვის სადა სკოლისას, მაგრამ ილია ხარჯს არ მოერიდა და სურვილი საქმედ აქცია. გადაუზომა და სკოლის საკუთ- რებად შესწირა ფერმის საჭიროებისათვის ორმოცდა ათი დე- სიატინა მამული; აუგო თავის ხარჯით სასკოლო შენობა, სახელოსნო, საყდარი და სხვა. მოიწვია მასწავლებლები და დროებით, სანამ მათთვის საკუთარ ბინას ააგებდა, დააბინა- ვა თავის საკუთარ სახლში *).

1883 წელს, ენკენისთვის 4-ს დიდის ამბით აკურთხეს ეს პირველი სამეურნეო სკოლა. კურთხევას დაესწრნენ ტფი- ლისიდან მოწვეულნი საპატიო სტუმრები და ადგილობრივი გლეხობა. კურთხევის შემდეგ სკოლისა ტ ილიას მეგობარმა,

*) სკოლის გახსნის სამი-ოთხი წლის შემდეგ, მასწავლებლის ავადმყოფობის დროს, ეს შენობა გადიწვა და ამ რიგად დღეს ილიას სა- კუთარი თავშესაფარიც-კი არა აქვს.



ილია ჭავჭავაძემ, წარმოსთქვა შემთხვევის შესაფერი თაღის ისტორიული სიტყვა. (დაბეჭდილია „ბუნების კარში“).

სკოლის პირველ განყოფილებაში შესვლა შეცდომა ყვე-



ილია წინამძღვრი შვილის მეუღლე, ოღდა.

ლას, ვინც ხნით ათ წლისაზე ნაკლები არ იყო. სწავლის ფულს არაფის არ ახდევინებდნენ, სასწავლო ნივთებსაც უფასოდ აძლევდნენ. ასეთი მადლიანი პირობების შემდეგ მოსა-

ლოდნელი იყო, რომ სკოლას მრავალი მოწაფე მოაწოდებდა, რადგანაც სკოლა ისეთ მოხერხებულ ადგილას არის აგებული, რომ შვიდი სოფლის გლეხობას გაუჭირებლად შეუძლია შვილი სახლიდან სკოლაში ატაროს, მაგრამ სკოლაში პირველ წელს თვრამეტი მოწაფე მიებარა და მათშიაც ზოგი სხვა მაზრიდან და სხვა სოფლიდან იყო. ასე გაუბრუნდა აქაური გლეხობა სწავლას ამ ოცდა ათი წლის წინად. მაგრამ სკოლამ თავისი ჰქმნა, თავისი მადლიანი კვალი დააჩინა: დღეს ამ სკოლაში ადგილობრივი გლეხების შვილები ას ოცდა ათზე მეტია.


იმ ხნიდან ამ ხნის განმავლობაში ილია წინამძღვრის შვილი უწევს სკოლას ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას. პირველ ხანებში, რამდენიმე წელიწადს სკოლის ყოველსავე ხარჯს თავის ჯიბიდან უძღვებოდა, მაგრამ, როცა ამ აუარება ხარჯს ერთი კაცი ვერ გასწვდა, მაშინ მიმართა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას და იმათაც შემწეობა არ დაიშურეს. — ეს რამდენიმე წელიწადია ყოველ წლიურად ხუთას თუმანს ეწევიან. ამ შემწეობით და ყურადღებით ფრთა-შესხმულმა ილიამ, სკოლას მოუმატა შენობები: ააშენა სკოლის ახალი ძვირფასი შენობა, ააგო მარან-სარდაფი, გადააკეთა სახელოსნო, ააგო მასწავლებლების ბინა და სხვა მხრივაც სკოლა დიდად გაამშვენიერა. ცხადია ყოველივე ამ ხარჯს ახმარდა თავის ჯამაგირს, თავისი მამულის სრულ შემოსავალს და თავად-აზნაურობისაგან გადადებულ დახმარებას, მაგრამ ყოველივე ეს ხარჯს მაინც არ ჰფარავდა. მეტი გზა არ იყო, ილიას შემოსავლის ახალი წყარო უნდა გამოენახა და ასეც მოიქცა. თავი დაანება მსაჯულობას და დაენიშნა პენსია. ამავე დროს ეს მხცოვანი, რკინის ნების ადამიანი, ჩაუჯდა კანონის წიგნებს, მოემზადა და დაიჭირა ნოტარიუსობის «გზამენი.» ამ რიგად დღესაც ეს მოხუცი დასვენების ნაცვლად დილიდან საღამომდის თავის (ნოტარიუსის) კანტორაში ზის, მუშაობს და მთელ შემოსავალს სკოლას ახმარს.

ის არ კმაყოფილდება მარტო იმით, რომ მოწაფეებს ღვინო
ლოდ მისი სკოლა დაასრულოს, არამედ თავის სულიერი შეი-
ლებისათვის შემდეგაც ზრუნავს. 1889 წელს პირველად და-
ასრულეს ამ სკოლაში სწავლა მოწაფეებმა. როგორც კეთილი
მამა, ილია თვით წაჰყვა ზოგ მათგანს რუსეთში, თვით უწინა-
მძღვრა ღ სამი მოწაფე იალტაში ნიკიტის სამეურნეო სკოლაში
მიაღებინა ღ სამივეს სწავლა იქ გაათავებინა. ამ რიგად ყოველ-
წლიური სწავლის გასაფითარებლად ზოგ მოწაფეს რუსეთის
სხვა-და-სხვა ადგილას ვხავენს. თავის საკუთარი ხარჯით გა-
მოხარდა ფშაველი ობოლი ყმაწვილი, პურის მცხობელ ბაბა-
ლეს შვილი, იოსებ მინდოდაური, რომელიც დღეს საუკეთესო
მეყველედ ითვლება ჩვენში. ადგილობრივი ბევრი გლეხის
შვილი, რომელიც თუ არ ილია და მისი სკოლა, მებრეობას
ვერ გასცილდებოდა, დღეს განათლებულ მეურნეებად, აგრო-
ნომად ითვლება. ერთი სიტყვით, ილია ამ ოცდა ათი წლის
განმავლობაში თავის მოწაფეებს და ყოფილ მოწაფეებს, ყვე-
ლას მფარველი ანგელოზივით თავს დასტრიალებს. ყველასა-
თვის ზრუნავს, ცდილობს, რომ ყველამ საქმეს მოჰკიდოს
ხელი.

აბ. წულაძე.

(დასასრული იქნება).





ტროადის ომი.

პრიამოსის ელლინთა ბანაკში გამგზავრების თავდარიგი.



ატროკლოსის ბრწყინვალედ დაკრძალვის შემდეგ გმირთა-გმირმა აქილევსმა მოიწვია ელლინთა მთელი მხედრობა და თავისი გულითადი მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად გამართა დიდებული ვარჯიშობა. თვითეული მეომარი, თვითეული რაზმის სარდალი მონაწილეობას იღებდა ამ ბრწყინვალე ვარჯიშობაში. ყველანი ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ კშივილდ-ისრის სროლაში, იარაღის მარჯვედ და ხელოვნურად მოხმარებაში, კიდაობასა და ეტლებით მარდად მიმოსვლაში.

დიდებულმა აქილევსმა გამოიტანა თავისი საშხედრო კარავიდან ძვირფასი ნივთები ვარჯიშობაში მონაწილეთა დასასაჩუქრებლად. აქილევსი უხვად ასაჩუქრებდა საუკეთესო მოვარჯიშეებს ოჭროთი, ვერცხლით და ძვირფას-ძვირფასი სამკაულებით. ვარჯიშობაში ძლეულთა და დამარცხებულთა ც-კი უხვად ასაჩუქრებდა პელესის გმირთა-გმირი ვაჟიშვილი. ბრწყინვალე და დიდებულმა ვარჯიშობამ მთელი დღე გასტანა და მხოლოდ საღამოს ეამს დაიშალა.

ყველანი მეტად ნასიამოვნებნი და კმაყოფილნი დამრუ-
 ლნენ თავ-თავიანთ სამხედრო კარვებში. ლამის წყვილიადმო მო-
 იკო მთელი არე-მარე, ელლინთა ბანაკში სამპარისებური სი-
 ჩუმე ჩამოვარდა. მთელი დღის ვარჯიშობის შემდეგ ყველანი
 მშვიდად და წყნარად განისვენებდნენ კარვებში. მხოლოდ
 ერთად ერთ აქილევსის თვალებს ძილი არ ეკარებოდა. სა-
 ბრალოს თვალწინ თავისი გულითადი მეგობრის სახე უდგა
 და მოსვენებას არ აძლევდა. აქილევსი მოუსვენრად იწვა
 ლოგინზე, ერთი მხარედან მეორე მხარეზე ტრიალებ-
 და, ხან პირ-ქვე დაემხობოდა, ხან პირ-აღმა გადმო-
 ბრუნდებოდა, მაგრამ მის თვალებს ძილი მაინც არ ეკიდებო-
 და. დაღლილი და დაქანცული ბალღივით ქვითინებდა და
 ცხარე კრემლებს ნაკადულებზე აფრქვევდა.

ჯერ კადვე ლამის წყვილიადი დედამიწას მძიმე ლოდვიით
 თავს აწვა, როცა აქილევსმა სამხედრო კარავი დასტოვა
 და ზღვის ნაპირისაკენ გაემართა. ზღვის ტალღები ლამის
 წყვილიადში ნაპირებს მდებრად ეჯახებოდნენ, თითქო დედამი-
 წას წალეკვას უპირებნო. პელეასის მწუხარე ვაჟიშვილი
 ცხარე კრემლების ფრქვევით უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა
 ზღვის ნაპირას და თავის უსაზღვრო მწუხარებას აბობოქრე-
 ბულ ზღვის ტალღებს შესწიოდა. აუტანელი იყო გმირთა-
 გმირის მწუხარება. იგი ესა და დედამიწას შესწიოდა თავის
 უნ-უგემო მდგომარეობას, ლამის იღუმალ წყვილიადს და ზღვის
 აზვირთებულ ტალღებს უზიარებდა გულის სიღრმიდან ამო-
 ნახეთქს კმუნეასა და ვაებას. მაგრამ შევლა არსაიდან არა
 სჩანდა. პირქუშ ზღვას და ლამის წყვილიადს თითქოს აინუნ-
 შიაც არ მოსდიოდათ გმირთა-გმირის უსაზღვრო მწუხარება.

განთიადი უკვე ახლოვდებოდა, როცა აქილევსმა ზღვის
 ნაპირები დასტოვა. დაუყოვნებლივ შეაბა თავისი ფეხმალ
 ცბენები სამხედრო ეტლში, ეტლს უკან ჩამოჰკიდა ჰექტორის
 უსულო გვამი და სამჯერ შემოატარა ეტლი პატროკლოსის
 სასაფლაო-ბეჭობის გარშემო. აქილევსმა ამის შემდეგ ჰექ-

ტორის გვამი ეტლს ჩამოხსნა, მიწაზე უპატრონოდ დააგდო და თვითონ სამხედრო კარავში დაბრუნდა.

აქილევსის ესე უდიერად მოქცევამ ოლიმპოსის ყველა მფლობელნი, გარდა ჰერასა და ათინა ქალღმერთებისა, მეტად შეაშფოთა და განარისხა. ღმერთების მამათმთავრის ზევსის ბრძანებით ფეტიდა ქალღმერთამ შეაგონა თავის ღვთისა-დარ ვაჟიშვილს ჰექტორის შესახებ თავისი უდიერობა და სისასტიკე შეეცვალა უფრო მეტის ღმობიერებით და კაცთა-მოყვარეობით.

სწორედ იმ დროს, როცა აქილევსი ასე უსაზღვროდ იტანჯებოდა თავისი გულითადი მეგობრის პატროკლოსის დაკარგვის გამო, პრიამოსის სასახლეში არა ნაკლების მწუხარებით მოსთქვამდნენ და დასტიროდნენ ტროადელების საუკეთესო გმირის, ჰექტორის, უდროვოდ დაკარგვის. მოხუცი პრიამოსი პირქვე ემხო სასახლეში და ცხარე ცრემლებს უნუგეშოდ აფრქვევდა. მოხუცის გარშემო ისხდნენ პრიამოსის ვაჟიშვილები, ქალები და რძლები და ყველანი ერთხმად საზარლად ქვითინებდნენ.

ღმერთების მამათმთავრის ზევსის შთაგონებით უნუგეშოდ მწუხარე მოხუც პრიამოსს გამოეცხადა ირიდა ქალღმერთა და ურჩიო ელიონთა ბანაკში გამგზავრება თავის საყვარელი ვაჟიშვილის უსულო გვამის ძვირფასი საჩუქრებით გამოსასყიდლად. ირიდა ქალღმერთამ დაარწმუნა ტროადის მოხუცი მბრძანებელი, რომ იგი ღმერთების დახმარებით უნებლად გამოისყიდის აქილევსისაგან ჰექტორის უსულო გვამს.

მეფე პრიამოსმა ირიდა ქალღმერთას გამოცხადების შემდეგ დაუყოვნებლივ უბრძანა, შეეზათ ეტლში ჯორები და ეტლზე მიგრიად დაეკრათ სკივრები აქილევსისათვის წასაღებ ძვირფასი საჩუქრების ჩასაღებლად. თვითონ საჩუქრების გამოსატანად გასწია სალაროსაკენ, საცა თავისი მოხუცი მუუღლე ჰეკაბა მოიხმო. „ჩემო, კირსა და ლხინში ერთგულო მეგობარო, ჰეკაბა! ესეთის სიტყვებით მიმართა პრიამოსმა

თავის მოხუც მეუღლეს: „ღმერთების მამათმთავარმა ჰყვესა ირიდა ქალიღმერთას პირით მიბრძანა, რომ აქაველებს ბანაკში წავიდე და აქილევსისაგან გამოვიყიდო ჩვენი ძვირფასი შვილის ჰექტორის უსულო გვამი. აბა, ჩემო გულითაღო მეგობარო, შენ რას ფიქრობ ამ საქმის შესახებ? მე კი ჩემდა თავად გადაწყვეტილი მაქვს, დღესვე გავემგზავრო აქაველების ბანაკში და მუხლ-მოდრეკით შევევედრო გმირთა-გმირს აქილევსს დამიბრუნოს ჩვენი საყვარელი შვილის უსულო გვამი! ნუ თუ ჩვენს მოხუცებულობას ელლინთა მხედრობის საუკეთესო გმირი პატივს არა სცემს და ისედაც გამწარებულს უკანახველ დღეებს კიდევ უფრო გაგვიწარებს!“

ამ სიტყვებზე ჰეკაბამ ცხარე კრემლების ლაპა-ლუპით ესე უპასუხა თავის მოხუც მეუღლეს: „ვთუ ჩემ საბრალო თავს! ნუ თუ ამ მოხუცებულობის დროს სრულიად დაჰკარგე ის დიდებული ჰეკა და გონება, რომლითაც ასე ამაყობდნენ მთელი ტროადის მკვიდრნი! ნუ თუ შენ, დღეს უკვე ღრმა მოხუცებულს, გადაწყვეტილი გაქვს მარტოდ-მარტო გაემგზავრო აქაველების ბანაკში და წარსდგე სათხოვრად იმ კაცის წინაშე, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა შენი ამდენი ძლიერი და მამაკი შვილები! როცა ის ჩვენი და ჩვენი ხალხის სისხლის მსმელი დაგინახავს თავის სამხედრო კარავში, განა შენ თეთრ წვერებს პატივს სცემს და რითმე დაგზოგავს! არა, ჩემო ტკბილო და განუყრელო მეგობარო! ისევ სჯობს აქვე დარჩე და აქვე გამოვიტყროთ ჩვენი საყვარელი, ჩვენი ძვირფასი ჰექტორი! ვფიცავ უზენაესს ღმერთების მამათმთავარს, რომ შემეძლოს გულს შუაზე გაუბობდი ჩვენი შვილის სიცოცხლის გამომასალმებელს!“

საბრალო ჰეკაბას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ კრემლების გუბემ უსწრო და საზარლად ქეითინი მორთო.

მოხუცმა პრიამოსმა კრემლების ფრქვევით უპასუხა საბრალო ჰეკაბას: „ჩემო ძვირფასო მეგობარო! საბოლოოდ გადაწყვეტილი მაქვს აქილევსთან წასვლა და ამიტომ გთხოვ, გემუდარები, წინ ნუ აღმიდგები! დარწმუნებული რომ ვიყო, რომ ელლინთა გმირთა-გმირი მისვლის უშალვე სიცოცხლეს გამომასალმებს, ჩემს გადაწყვეტილებას მაინც არ შეეცვლი დეე, გამგმიროს, სიცოცხლეს გამომასალმოს ჩვენმა მო-

სისხლე მტერმა, ოღონდ-კი ცალი თვლით მიინც დაეინახო ჩენი საყვარელი შვილის, ჩენი ძვირფასი ჰექტორის გაცივებული გვამი! მე შხადა ვარ სიცოცხლეს სამუდამოდ გამოვფისალო, ოღონდ კი ერთი უკანასკნელად გულში მხურვალედ ჩავიკრა ჩენი, ღვიძლი შვილის გაცივებული გვამი!”

ამ სიტყვებთან ერთად მეფე პრიამოსმა ამოალაგა სალო-როდან ძვირფასი ტანთ-საცმელები, პრავალი ოქრო-ვერცხლის თეფშები, აზარფეშები, სხვა სამკაულები და უბრძანა ფრთხილად ჩაეწყოთ იმ სკივრში, რომელიც სამგზავრო ეტლზედ იყო მოთავსებული. კარის კაცებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს მეფე პრიამოსის ბრძანება.

სამგზავრო ეტლი მეფე პრიამოსისა და მისი თანმხლებელისათვის უკვე მზად იყო. მთელი სამეფო ოჯახობა შეიკრიბა ეტლის გარშემო. მოხუცმა მეფემ ცისაკენ აღაპყრო ხელები და ღმერთების მამათმთავარს შეევედრა: „ცისა და ქვეყნის მფლობელო, ყოვლად შემძლებელო ზევს! გვედრები, თვალცრემლიანი გემუდარები, მომეც შეძლება დავამშვიდო პრისხანება გმირთა-გმირის აქილევისისა და ძვირფასი საჩუქრებით გამოვიყიდო ჩემი საყვარელი ჰექტორის გვამი! მართალია, შენის რჩევით და შთავგონებით მივდივარ აქაველების ბანაკში, მაგრამ წასელის წინად გთხოვ, მომივლინო საიმედო რამ ნიშანი, რომ უფრო მეტის რწმენით წარვემგზავრო მოსისხლენ მტრის ბანაკში ჩემი შეურყეველი გადაწყვეტილების განსახორციელებლად! სწორედ ამ სიტყვებთან ერთად ცის სივრცეში მეფის მთელმა ოჯახობამ ნათლად შენიშნა მალალი ზევსის გულთმისანი და მძლავრ-ფრთებიანი არწივი, რომელიც ტროადას ამაყად თავს დასტრიალებდა.

არწივის სწორედ ამ დროს ცის სივრცეში გამოჩნა ყველამ კეთილის მომასწავებელ ნიშნად მიიმჩნია და სამგზავროდ გამზადებული ეტლი მეფე პრიამოსისა, მისი თანამხლებელით აქაველების სამხედრო ბანაკისაკენ გაემგზავრა.

ა. მიქაბერიძე.